საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი, 30 მარტი, 1920 წ.

ერთობა

ფასი 3 მანეთი

ფასი ერთი 1 თვით 75 მანეთი, ცალკე - ნომერი 3 მანეთი. განცხადებანი ფასი პირველ გვერდზე სტრიქონი 5 მანეთი. მეოთხე გვერდზე 4 მან. ხელმოწერისათვის განცხადება მუდმივისათვის ზომის 15X2 სტრიქონი თვეში 100 მანეთი. ხელნა განცხადებები არ ცვლიდება. რედაქცია და კანტორის ადრესი: კონსტანტინეს ქ. 6, შესახვევი რუსთაველის ქუჩის მე-1-ის. ტელეფონი 16—09

№ 72

ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციისა

№ 72

უზომოდ მწუხარებაში მყოფი მეუღლე ეკა გიორგის ასული გოგიტიძისა შვილები პეპელა, ლილიკო, ქეთევანი და კოლია, ძმა რუბენ გოგიტიძე, დები: კატო ჩიქოვანისა და ელენე თაყაიშვილისა შვილებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ უდროოდ გარდაიცვალა მათი ძვირფასი პირველის ქმარი მეორის დაუვიწყარი მამა და მესამის ძმა

ივანე ნიკოლოზის ძე გოგიტიძე

რომლის დაკრძალვა მოხდა კვირას 28 მარტს, ს. ჭალას.

(1112 1—1)

გულდაწყვეტილი ილიკო, მიხონდი, ოლია და ლიდია აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ კვირას 4 აპრილს (ახ. სტ.) ქ. ლანჩხუთში ნათლისმცემლის ეკლესიაში დანიშნულია ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი ძვირფასი მამის და უკანასკნელის მამამთილის

ვლადიმერ ნიკოს ძე წილოსანის

და საყვარელი ბიძაშვილის

შუშუნია ყაფლანის ასულის წილოსანის

ხსოვნის აღსანიშნავად. (ფ. 1—1)

გულდაწყვეტილი ელენე, სიმონ, თამარა მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ კვირას 4 აპრილს (ახ. სტ.) ქ. ლანჩხუთში ნათლისმცემლის ეკლესიაში დანიშნულია ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი პირველის საყვარელი შვილის და მაზლის- მეორის გაზრდილის და მეგობრის, მესამის დის ბიძის

შუშუნია ყაფლანის ასულის წილოსანის

და ვლადიმერ ნიკოს ძე წილოსანის

ხსოვნის აღსანიშნავად. (ფ 1—1)

ქალაქთა კავშირი საქართველოს რესპუბლიკისა

სამშაბათს მ. წ. 6 აპრილს დილის 9 საათზე ქალაქთა კავშირის ცენტრალური სახელოსნოების საწყობში (ანდრეევის ქ. რკინის გზის საავადმყოფოს პირდაპირ)

სიტყვიერ საჯარო ვაჭრობით გაიყიდება

„ჯიმონის" მასალები, ცხენის მოსართავი ხაგნები სხვადასხვა ხის ნივთები და სხ. ნივთების სიის ნახვა შეუძლია მსურველს ქალაქთა კავშირის ცენტრალურ საწყობში ყოველ დღე დილის 9—3 საათ. (მადათოვის ქ. № 48) (ნ. 2—2)

მოიკითხეთ საუკეთესო ხარისხის

აბრეშუმის ჭიის თესლი

შემოწმებული თბილისის საბრეშუმო სადგურის მიერ.
(ყვითელი, ფრანგული ჯიშ ს)
„დ. დ. დეკანოზიშვილის" ფირმისა.
დუშეთის ქუჩა, № 23, ბინა მექანარიშვილისა. (1026 3—3)

მიწათ-მოქმედების სამინისტროს თბილისის მებოსტნეობის

პრაქტიკულ სკოლაში მიიღება

დაკვეთა ყოველგვარი ბოსტნეულის ნერგებზე

მისამართი მუშტაიდის შესახვევი № 4. სკოლ ს გამგე გ. თავდგირიძე. (ნ. 6—4)

ექიმი ბ. ი. ოქრომჭედლიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. [illegible] ქუჩა № 22, სოლოლაკი.

(ნ.—თ.)

ეკონომიური მისია

დამფუძნებელმა კრებამ დაადგინა გადიდოს ოც-მილიონის თანხა ევროპაში ეკონომიური მისიის გასაგზავნათ. აქამდის საქართველოს გაგზავნილი ჰყავდა ევროპაში პოლიტიკური მისია, რომლის მთავარ დანიშნულებასაც შეადგენდა საქართველოს დამოუკიდებლობის განმტკიცება. ამ მიზანს მისიამ უკვე მიაღწია: საქართველოს დამოუკიდებლობა იცნეს უძლიერესმა სახელმწიფოებმა. პოლიტ. კურ მისიას ჯერ კიდევ აქვს გასაკეთებელი მნიშვნელოვანი საქმეები, რომელთა შორის დღეს პირველი ადგილი უჭირავს ბათუმ-აჭარის საკითხს.

პოლიტიკური მისიის დანიშნულებაა საქართველოს გარეშე მდგომარეობის გამაგრება. სულ სხვა მიზანი აქვს ეკონომიური მისიის გაგზავნას. მისი დანიშნულებაა, პირიქით, ხელი შეუწყოს საქართველოს გამაგრებას შიგნით. ამ გამაგრებას ხელს უმთავრესად ის უშლის, რომ საქართველოს არა აქვს შექმნილი ვალიუტა, ისეთი ღირებულება, რომელიც ჭეშმარიტ სიმდიდრეზე იყოს დაყრდნობილი და ჩვენ არ გვიხდებოდეს მხოლოდ ქაღალდის ფულის ბეჭვდა, რომელსაც რეალური ღირებულება არ უდევს საფუძვლად. ვალიუტის შესაქმნელად მისია, ძლიერ სახელმწიფოებს მიმართავს დასახმარებლად. მაგრამ მისიას, უეჭველია, ისიც ექნება გათვალისწინებული, რომ თვით გამარჯვებულ სახელმწიფოთა შორის ცოტაა ისეთი, რომელთა ვალიუტაც მკვიდრ ნიადაგზე იდგეს და რომელთა ფულის ფასიც დღითი-დღე არ ეცემოდეს. საკმარისია, მაგალითად, გავიხსენოთ საფრანგეთის სავაჭრო ბალანსი, რომ წარმოვიდგინოთ, რა გაჭირვებულ მდგომარეობაში ყოფილა ეს სახელმწიფო: საფრანგეთის ექსპორტი (გატანილი საქონელი) წარსულ წლის 11 თვის განმავლობაში უდრის 7 მილიარდ მარკას, იმპორტი კი (შემოტანილი საქონელი) 25 მილიარდს, ე. ი. მისი წაგება უდრის 18 მილიარდს. ეს გარემოება იმის მიზეზი, რომ საფრანგეთის ფულის კურსი საგრძნობლად ეცემა. ეკონომიური მისიის მოვალეობაა, მაშასადამე, გაითვალისწინოს, რამდენად საიმედოა რომელიმე სახელმწიფოს ფულზე დაყრდნობა ვალიუტის შესაქმნელად.

ვალიუტის შესაქმნელად მისიას დასჭირდება საქართველოს სხვადასხვა გვარ სიმდიდრეს გამოყენება. ჩვენი ქვეყანა არ არის ღარიბი. მის წიაღში იდევს სიმდიდრე ჩამარხული, რომ შედარებით მცირე შრომით შესაძლებელია დიდი ღირებულების დაგროვება. უცხოეთის კაპიტალი ხალისით გამოექანება ჩვენი ქვეყნისაკენ, თუკი მას საშუალებას მივცემთ ჩვენს ქვეყანაში საექსპლოატაციოთ ფრთა გაშალოს. მაგრამ ეკონომიურ მისიას ერთი რამ უნდა მტკიცედ ახსოვდეს: უცხოეთის კაპიტალს საექსპლოატაციოდ უნდა დავუთმოთ მხოლოდ ისეთი დარგები, რომლებსაც ჩვენი სახელმწიფო თვითონ ვერ გამოიყენებს, რომლებსაც უფრო მსხვილი კაპიტალი მოეთხოვება, ვიდრე ჩვენს ქვეყანას შეუძლიან გაიღოს. ჩვენს ქვეყანას მოეპოვება ისეთი მდიდრობები, რომლის დამუშავებასაც უეჭველად მსხვილი წარმოების ხასიათი უნდა მიეცეს და ბევრად უფრო მსხვილი კაპიტალი დასჭირდება, ვიდრე ეს ჩვენს ქვეყანას მოეპოვება. საზოგადოთ კონცესიების გაცემა ჩვენს რესპუბლიკას დასჭირდება, მაგრამ მისიას დიდი სიფრთხილე მართებს, რომ ეს გაცემა მხოლოდ ერთის პირობით ხდებოდეს: უცხოეთის კაპიტალმა უნდა ხელი შეუწყოს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურად და კულტურულად წინ წაწევას და არამც და არამც არ უნდა გაიხადოს ჩვენი ქვეყანა საწველ ფურად. არავითარ შემთხვევაში მას ხელში არ უნდა ჩავუგდოთ ისეთი დარგები, რომელთანაც ჩვენი ქვეყნის არსებობაა დაკავშირებული და რომლის ხელში ჩაგდება ჩვენს ქვეყანას იმპერიალისტების კოლონიად გადააქცევს და ჩვენს ხალხს უცხოელების ყმად და მონად.

ეკონომიური მისიის გამგზავრებას კიდევ ერთი დიდი დანიშნულება აქვს. ჩვენი ქვეყანა ისევე, როგორც ყველა ქვეყნები, განიცდის დიდს სასურსათო კრიზისს, რომელიც გამოწვეულია ექვსი წლის ომიანობით. კრიზისის გამწვავება, სხვათა შორის, იმითაც არის გამოწვეული, რომ საქონლის ბაზარი არე-დარეულია და ჩვენ გამორკვეული არა გვაქვს, რომელ სახელმწიფოს რა საქონელი სჭირდება და რა საქონელი ჭარბათ აქვს. ეს გარემოება ძლიერ აძნელებს სასურსათო საკითხის მოგვარებას და ძლიერ დიდს ზიანს აყენებს ჩვენს ვაჭრობა მრეწველობას. ჩვენ რომ მსოფლიო ბაზარი შესწავლილი გვქონდეს, ბევრად უფრო მეტს ფასებში გავყიდით ჩვენს ღირებულებას და ბევრათ უფრო იაფ ფასებში შევიძენდით სხვის საქონელს. მსოფლიო ბაზრის გაცნობა სპეკულიანტების შუამდგომლობას აგვაცილებს თავიდან და ცოტა თუ ბევრათ უშუალო კავშირი დაგვიმყარდება მასთან.

მრავალი სხვა საქმეც გამოუჩნდება ეკონომიურ მისიას. დიდის იმედებით გაისტუმრებს მას საზღვარ გარეთ ჩვენი რესპუბლიკა. და თუ იგი გაამართლებს ამ იმედებს, თუ პირნათლად შეასრულებს იმ ვალდებულებას, რომელსაც აძლევს მას ჩვენი ერი, ეს საქართველოსთვის პირდაპირი ხსნა იქნება. ვალიუტის შექმნა, მსოფლიო ბაზრის ზედმიწევნით შესწავლა და მასთან მჭიდრო კავშირის გაბმა,—ეს სწორეთ ის საშუალებაა, რომელიც გამოიყვანს ჩვენს ქვეყანას საქვეყნო მიზეზებით გამოწვეულ ეკონომიურ კრიზისიდან.

თანამედროვე კითხვები

VII

სხვისი საქმე.

უკანასკნელ წლებში რევოლიუციამდის რუსეთის შესახებ ამბობდნენ,—ამ სახელმწიფომ [illegible] დაჰკარგაო. მართლაც ჰკვიანი კაცები თავს იმტვრევდნენ ერთი საკითხით, არ იცოდნენ თვითმპყრობელობა დაერქვათ მაშინდელი პოლიტიკური მდგომარეობისთვის, თუ კონსტიტუციონური მართვა-გამგეობა.

სამწუხაროთ, ეს თავსამტვრევი საკითხი დარჩა თავის ალაგას. რუსეთმა ვერც რევოლიუციის შემდეგ იპოვნა [illegible]. ბოლშევიკების დროს კი სულ აებნა [illegible]. არ იცის სოციალისტურია ახლა ეს სახელმწიფო თუ კაპიტალისტური, თვითმპყრობელობაა აქ გამეფებული ისევ თუ ისეთი რესპუბლიკა, რომელსაც მთელმა ქვეყანამ უნდა მიბაძოს.

ისტორიაც ვერ გვაძლევს შესადარებელ მაგალითებს. ამისთანა ხანა არ უნახავს კაცობრიობას. ვიცით, გადაგვიტანია ორნაირი რევოლიუცია—სოციალური და პოლიტიკური. ბოლშევიკების რევოლიუცია არ გავს არც ერთს. გარეგნულად ეს ვითომ პირველ საფრანგეთისას წააგავს. იქ მე-18 საუკუნის დამლევს ეკონომიური და პოლიტიკური ძალა-უფლებაც გადავიდა თავადაზნაურობის ხელიდან ბურჟუაზიის ხელში. მანამდის მეფობდა მიწათმფლობელი, მერე გამეფდა კაპიტალის მეპატრონე. ეს სულ ერთი კლასის გასვლა ისტორიული ასპარეზიდან და მეორის შემოსვლა. ეს იყო სოციალური რევოლიუცია. ასეთივე მოხდა უფრო ადრე ინგლისში, ამერიკაში, უფრო გვიან გერმანიაში, იტალიაში, მთელ დასავლეთ ევროპაში.

ბურჟუაზია გაბატონდა მას აქეთ ზოგან მთლად, ზოგან ნახევრად—ძველ კლასთან მორიგებით, თანხმობით. ახალი კლასი—პროლეტარიატი შეეჯახა ამ გაბატონებულ კლასს ევროპაში, უკეთ კი ქვეყნებში, საფრანგეთში, ორჯერ—1848 და 1871 წლებში. პირველად ახალმა მებრძოლმა გაიმარჯვა ქუჩებში, მისი გამარჯვებით დამარცხდა 1830 წლის ტახტზე დაბრძანებული თვითმპყრობელი ბურჟუაზია. მაგრამ იგივე მებრძოლი დამარცხდა პოლიტიკურათ. ვერ შექმნა რაც უნდოდა. ვერ დაარსა დემოკრატიული რესპუბლიკა. გულუბრყვილოთ წამოეგო ბურჟუაზიის გადმოგდებულ ანკესზე. გაგზავნა დროებით მთავრობაში თავისი წარმომადგენლები—სოციალისტები. ამათ იქ თავბრუ დაეხვათ სოციალისტურ სიტყვიერებაზე. ვერც ერთი ცვლილება ვერ გაატარეს თავისი კლასის სასარგებლოთ. ბატონობა დარჩა ისევ ბურჟუაზიას. სოციალური წესწყობილება არ შეიცვალა. სოციალისტებმა მხოლოდ თავი მოიტყუეს მთავრობაში თანამშრომლობით. აკეთებდნენ სხვის საქმეს.

მეორეთ—1871 წელს მოხდა ნამდვილი სოციალისტური რევოლიუცია. ბურჟუაზიამ გზა დაუთმო პროლეტარიატს. ეს მოხდა დროებით,—ორ თვეზე ცოტა მეტი გასტანა ამ რევოლიუციამ,—ეს მოხდა მარტო პარიზში.

ყველა დანარჩენ გადატრიალება-გადამატრიალებებს ევროპაში ჰქონდა პოლიტიკური ხასიათი. მართვა გამგეობას სტოვებდა ერთი პარტია და ეუფლებოდა მეორე პარტია. კლასი რჩებოდა იგივე. ბატონობა ისევ ბურჟუაზიის ეკავა, მხოლოდ სახელმწიფო ეჭირა მისი სხვა და სხვა ნაირი ნაწილი. ასეთი პოლიტიკური რევოლიუცია ხდებოდა ხან სისხლის ღვრით ხან მშვიდობიანათ, არჩევნების საშუალებით. ინგლისში, მაგალითად, დიდ ხანს მეფობდა ბურჟუაზიის ლიბერალური ფრთა, მერე—ისევ კონსერვატიული ფრთა. ამერიკაში დიდხანს განაგებდა რესპუბლიკანური პარტია, მერე არჩევნების საშუალებით გამეფდა დემოკრატიული პარტია. კლასი კი ორივე შემთხვევაში იყო ერთი და იგივე—ბურჟუაზია. საფრანგეთში 1871 წლის შემდეგ დამყარდა რესპუბლიკა, მაგრამ აქ პოლიტიკური ძალა დარჩა ისევ ბურჟუაზიის ხელში. არჩევნებში იმარჯვებდა დემოკრატია, რომელიც ებრძოდა ძველი მთავრობის ბურჟუაზიულ პოლიტიკას. თითონ კი გამარჯვების შემდეგ მიდიოდა იმავე გზით. სამინისტროებში შედიოდნენ სოციალისტები, ეგონათ ნელ ნელა სოციალიზმისკენ გადავიყვანთ ქვეყანას და იქ ბურჟუაზიულათ ინათლებოდნენ. სოციალისტი ბრიანი, სხვათა შორის, დიდი მომხრე იყო ყოველთვის მუშათა საერთო გაფიცვის. როცა გამინისტრდა, თოფ-ზარბაზნებით გამოუვიდა საფრანგეთში გაფიცულ მუშების წინამძღოლს. თავისი ხელით აკეთებდა სხვის საქმეს.

მთელი მე-19-ე საუკუნის განმავლობაში ბურჟუაზიის მეფობა არ შერყეულა არსად. არც ქვეყნებში მის წინამძღოლს გამოსვლით, არც არჩევნების საშუალებით, გამეფებული ყოველთვის აწარმოებდა ისეთ პოლიტიკას, რომელიც, რა თქმა უნდა, არ შეეფერებოდა მუშათა კლასის ინტერესებს. ის ტახტზე ადიოდა რევოლიუციონური პიჯაკის წვერით, იქ კი რეაქციონურ ქუდს იხურავდა. ჯერ ფიცულობდა თავისუფლების, დემოკრატიის სახელით, მერე გამოაჩნდებოდა ხოლმე მონარქიული ბოლო.

რუსეთი ამ დროს იყო სხვა მდგომარეობაში. აქ ისევ თავად-აზნაურობა მეფობდა. წარმოების წესი აქ იყო ისევ ბატონყმური, ფეოდალური. ახალგაზრდა ბურჟუაზია შორით უყურებდა თავის ევროპიულ მოძმეებს. გაბატონება არ უბედებოდა. ხედავდა მომწიფებულ ყურძენს, მესახელეთ ეპოტინებოდა და ვერ სწვდებოდა. ხანდახან გულს იმშვიდებდა,—ყურძენი ჯერ კიდევ მკაწეაო, მაგრამ ძალიან სწყდებოდა, რომ ხელი არ ყოფნიდა მოსაწყვეტათ.

კაუცკიმ თქვა ერთ თავის წერილში,—ბურჟუაზია ახლა ყველგან გარეაქციონერდა, მარტო რუსეთში თუ ეტყობა რევოლიუციონური სულის კვეთებაო. კაუცკის და საზოგადოთ მარქსისტებს არ ქონდათ რუსეთის ბურჟუაზიის იმედი. ამას უნდოდა რევოლიუცია, რომელიც პოლიტიკურ მართვა-გამგეობას ხელში მისცემდა, მაგრამ თითონ განძრევაც კი არ შეეძლო ამ მიზნის მისაღწევათ. რევოლიუციონერობა სწყუროდა, რეაქციონერი კი იყო. ნატრობდა ძველი მთავრობის დამხობას, ამ ნატვრის თითონვე უშინდებოდა.

ევროპის ბურჟუაზიას არაა ქონდა რა საშიში. გვერდით ვერ ხედავდა პოლიტიკურათ გაწვრთნილ მეტოქე კლასს. ის წინ მიდიოდა, მუშათა კლასი უკან მისდევდა. რუსეთში ბურჟუაზიას თითქმის უძნელდა, როცა გაიხედავდა მისი მოწინააღმდეგე კლასი. ის ან ამ კლასს მისდევდა უკან, ან მის დასაწყნარებლათ ძველ მთავრობას უთანხმდებოდა.

ძველი მთავრობა აქ თანდათან ეგუებოდა ახალი წარმოების წესს. ბურჟუაზიული შინაარსი თანდათან შედიოდა ფეოდალურ ქერქში. რუსეთის კაპიტალს საკმაოთ მიაჩნდა ის, რაც 1905 წელს მოიგო რევოლიუციამ. ბურჟუაზია ურიგდებოდა მესამე ივნისის კონსტიტუციას. ნებაყოფლობით თუ მისცემდნენ მეტს, უარს არ იტყოდა, ბრძოლა კი დანაშაულათ მიაჩნდა.

სოციალური რევოლიუცია რუსეთში მოხდა მარტი 1917 წლის დამდეგს. მაშინ განადგურდა ძველი კლასი, განადგურებულს აღმოუჩნდა მემკვიდრე. კაპიტალისტურ წარმოებას პატრონი არ გამოუჩნდა. ბურჟუაზიულ სხეულს ბურჟუაზიული თავი ვერ მოება. დარჩა მას აქეთ მთელი სახელმწიფო უთავოთ. ბოლშევიკები მოექცნენ სათავეში, მაგრამ სოციალისტური რევოლიუცია ვერ მოახდინეს. ბურჟუაზია გადევნეს კარებიდან და შემოუშვეს ფანჯრებიდან. კაპიტალისტები შემოირიეს, და კაპიტალისტათ თავისი სახელმწიფო გადააქციეს. სოციალიზმის მაგივრათ შემოიღეს სახელმწიფო კაპიტალიზმი.

ბოლშევიკების მთავრობა დაეპატრონა დარჩენილ ფაბრიკა ქარხნებს, მადაროებს ალებ მიცემობას. ის არის ახლა შრომის დამქირავებელი. ეს ახალი კაპიტალიზმი ძველისაგან იმით განირჩევა, რომ მაშინ შრომის ნაყოფიერება უფრო დიდი იყო, მეტი სიმდიდრე მზადდებოდა. მაშინდელი დამქირავებელი იღებდა, მართალია, მეტ წილს. მართალია, მუშის ხელფასი იმ დროს პატარა ნაწილი იყო მისივე ნაწარმოების, მაგრამ ეს ხელფასი ვერ შეედრება დღევანდელ ხელფასს. მაშინ საერთო ქონება იზრდებოდა. ახლა დაცარიელდება მთელი სახელმწიფო და ქონებრივათ ეცემა მშრომელი კლასიც.

ამ გადატრიალებულ ადგილათ გაბატონდება უცხოეთიდან მოსული ბურჟუაზია. ის აქ ახლა ვეღარ ნახავს პოლიტიკურათ მძლავრ მოწინააღმდეგეს. თავისი „სოციალისტური" საქციელით ბოლშევიკებმა საძირკველი მოუმზადეს მომავალ ბურჟუაზიულ წესწყობილებას, გააკეთეს სხვისი საქმე.

მარქსი ამბობდა, — სოციალისტებმა რომ უდროოთ სოციალიზმის განხორციელება მოინდომონ, ან თითონ გადაგვარდებიან ბურჟუაზიულ ქარქში, ან მათ ნაკეთებს მერე ისევ ბურჟუაზია გამოიყენებსო. ბოლშევიკებმა გაამართლეს მარქსის წინასწარმეტყველება და, თუ გნებავთ, ამაშია მათი ისტორიული სამსახური.

ს. დევდარიანი.

საერთაშორისო მდგომარეობა

უკუნეთი ჯადოქრების მსგავსად გერმანელმა რეაქციონერებმა გამოიწვიეს სტიქიონური ძალები, რომელთა დამორჩილება მათ ხელთ აღარ არის და, როგორც სჩანს, არც სხვებისთვის არის ადვილი. თითქმის ათი ათასი კაცის სიცოცხლე კიდევ შეეწირა სამოქალაქო ომს: მაგრამ ჯერ კიდევ არ შეიძლება ითქვას, რომ ბრძოლა დასრულებული იყოს. ინდუსტრიული საქსონია დამოუკიდებელ სოციალისტებს უჭირავთ, ინდუსტრიული რურის ბასეინი სპარტაკელებს.

საზოგადოთ, როგორც სჩანს, სამოქალაქო ომი გერმანიაში არა ნაკლებ ხანგრძლივი და სისხლის მღვრელი იქნება, ვიდრე რუსეთში. განსხვავება იმაშია, რომ რუსეთში პროლეტარიატმა უკიდურეს სოციალისტების მეთაურობით შედარებით ადრე ჩაიგდო ხელში სახელმწიფო ძალა, გერმანიაში კი დამყარდა ერთგვარი კომპრომისული რეჟიმი, რომელიც ორ დიდ მოწინააღმდეგე ძალის—ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის—თანასწორობის მაჩვენებელია.

ასეთ პირობებში გერმანიის სამოქალაქო ომის შედეგს გადაწყვეტა საზოგადოთ საერთაშორისო ფაქტორებზე დამოკიდებული. ანტანტისათვის, რომლის ჯარებს რეინის მარცხენა ნაპირი უჭირავს, ყველა კომბინაციებს შორის გერმანიაში დღევანდელი ზომიერი კოალიციური მთავრობაა მისაღები. ბოლშევიკებისათვის პირიქით საჭიროა კომუნისტური ან, უკიდურეს შემთხვევაში, მემარცხენე სოციალისტური მთავრობა. სასწორის გადახრა მარჯვნივ ან მარცხნივ დამოკიდებულია იმ ბრძოლის პერიპეტიებზე, რომელსაც ბოლშევიკური რუსეთი ანტანტის წინააღმდეგ აწარმოებს.

მოსალოდნელია რომ ეს ბრძოლა გაგრძელდება დენიკინის მოსპობის მიუხედავად. დღევანდელ რუსეთსა და ინგლის-საფრანგეთს შორის შეიძლება დროებითი ზავის ჩამოგდება, მაგრამ შეუძლებელია ხანგრძლივი მშვიდობიანობის დამყარება. ოგრედისა და ლიტვინოვის მოლაპარაკება ბრძოლის ეპიზოდია და სრულიადაც არ მოასწავებს გულწრფელ შერიგებას. ევროპიულ გაზეთებში დაიბეჭდა გაბოლშევიკებულ ფრანგი კაპიტანის სადულის რაპორტები, რომელიც ნათლად ჰფენს საბჭოთა რუსეთის აგრესიულ განზრახვებს. 11 თებერვალს სადული მოსკოვიდან პარიზში თავის პროფესორს სწერდა: „ლენინის სიტყვით რომ ვსთქვათ, ბურჟუაზიის გახრწნილი გვამი კიდევ ჩვენს შორის სძევს და ჩვენს სწამლავს თავის მიაზმებით".

ორივე მიმართულება, რომლითაც ბოლშევიკური ლაშქარი დღეს შეტევას აწარმოებს, ერთნაირად საშიშია ანტანტის სახელმწიფოებისთვის. სამხრეთის მიმართულებას ბოლშევიკები ინდოეთისა და ეგვიპტისკენ მიჰყავს, დასავლეთის მიმართულებას ბერლინისკენ, მაგრამ ორივე მხრივ ბოლშევიკები ცდილობენ უფრო იდეური პროპაგანდით იმოქმედონ, ვიდრე იარაღით.

თუ პოლონელების ჯარი შეირყა და მოიშალა ევროპიული ძალა ვეღარ შეაჩერებს გერმანიისა და რუსეთის შეკავშირებას. ავსტრია-უნგრეთის იმპერია ანაწევრებდა ძველი გერმანიის იმპერიისა და ძველი რუსეთის ანტაგონიზმს, რაკი ავსტრია-უნგრეთი დანაწილდა, ამ ორ სახელმწიფოს შორის უფრო ინტერესთა სოლიდარობაა, ვიდრე წინააღმდეგობა. გერმანიას სჭირია რუსეთი, რუსეთს სჭირია გერმანია! ამ სიტყვებით დაიწყო ჰარდენმა „ცუკუნფტში" თავისი წერილი, რომელიც სამართლიანად ლენინის იდეების საუკეთესო პროპაგანდისტად ითვლება.

ახლაც ბოლშევიკების საგანგებო ელჩი გერმანიაში ვიქტორ კოპპი, ფრანგულ გაზეთების გადმოცემით, აცხადებს, რომ რუსეთს გერმანიისაგან სჭირდება არა მარტო მანქანები, წამალი და ნახშირი, არამედ ტეხნიკოსები და ორგანიზატორები. კოპპის სიტყვით „არც ერთი მთავრობა არ შეიძლება ისე მეგობრულად იყოს განწყობილი გერმანიისადმი, როგორც რუსეთის, გლეხთა და მუშათა მთავრობა. რუსის ხალხი ერთად ერთია, რომელსაც არც სურვილი აქვს და არც შეუძლია, რომ გერმანია გაძარცვოს და დაანგრიოს ისე, როგორც გერმანია ერთად ერთი ქვეყანაა, რომელიც, როგორც სჩანს „თანაგრძნობით უცქერის მშრომელი რუსეთის კონსოლიდაციას" („ტემპი", 21 თებერვალი).

ამის შემდეგ ადვილი ასახსნელია, რომ ანტანტა ასეთი ინტერესით ადევნებს თვალყურს გერმანიის სამოქალაქო ომს. რურის ბასეინი რეინის საოკუპაციო რაიონს საზღვრავს და კომუნისტური ხელის გაღვივება იქ თავისთავად საშიშია საფრანგეთისთვის. მაგრამ კიდევ უფრო საშიში იქნებოდა ამ კუთხეში ასი ათასი გერმანელი ჯარის შეყვანა, რასაც ითხოვს გერმანიის მთავრობა. ფოშის საოკუპაციო ჯარის სამოქალაქო ომში ჩარევა კი კიდევ უფრო გააღიზიანებდა ისედაც აღშფოთებულ და

დღეს

მილიერანმა განაცხადა პალატაში, რომ საფრანგეთი საბჭოთა რუსეთთან არ დაიჭერს დიპლომატიურ კავშირს, ვიდრე სახელმწიფოებრივი უფლება რუსეთში დამფუძნებელ კრებას არ გადაეცემა. მთავრობას ნდობა გამოუცხადა პალატის 518 წევრმა, 70 წინააღმდეგ

გერმანიის ახალ კაბინეტში შედიან: უმრავლესობის სოციალისტი 5, დემოკრატი 4, ცენტრის პარტიიდან 4.

ბოლშევიკების ცნობით პოლონეთი წინადადებას აძლევს საბჭოთა რუსეთს დაიწყონ საზავო მოლაპარაკება 10 აპრილიდან ქ. ბორისოვში.

ფრანგული პრესის ცნობით, ბათუმის საკითხის შესახებ ლონდონის კონფერენცია შეთანხმდა გაგზავნოს იქ საზღვაო ძალები, რომელიც დაიცავს ქალაქს, მის მიდამოებს და ბათუმ-ბაქოს რკინის გზას.

სომხეთის მანდატის შესახებ ლონდონის კონფერენციას არავითარი გადაწყვეტილება არ მიუღია. სომხეთს გასავალი მიეცემა შავ ზღვაზე, ტრაპიზონის ვილაეთში.

სასოწარკვეთილ გერმანელ ერს. ამ შემთხვევაშიც თავი იჩინა ერთზე იმ წინააღმდეგობამ, რომლის გადაწყვეტას მშვიდობიანის გზით ამაოთ სცდილობს ანტანტის დიპლომატია.

თუ აღნიშნული პოლიტიკური ტენდენციები გაძლიერდენ, ანტანტის წინააღმდეგ საშიში კოალიცია შეიქმნება. ბერლინი ხელ ახლა შეუკავშირდება კონსტანტინოპოლს, მაგრამ არა ვენის, არამედ მოსკოვის გზით... ზ. ქ.

ბათუმი

საფრანგეთის უმაღლესი კომისარი ამიერ-კავკასიაში.

როგორც მოხსენებული გვქონდა, საფრანგეთის უმაღლესი კომისარი ბ. დე-მარტელი უკვე ჩამოვიდა თფილისში.

ბათუმში მისვლისას ბ. დე-მარტელმა აცნობა ყველა კონსულებს, რომ ის იწვევს მათ აუდიენციაზე 25 მარტს ნაშუადღევის 4. ს.

საქართველოს მთავრობის საგანგებო წარმომადგენელს ბათუმში ბ-ნ მ. მ. ხოშტარიას ბ-მა დე-მარტელმა დაუნიშნა განსაკუთრებული აუდიენცია 26 მარტს დილის 10 ს.

ბ-ნ მ. მ. ხოშტარიასთან ერთად ბ-ნ დე-მარტელს წარუდგნენ საქართველოს სამხედრო მისია, რომელიც გენერალ-ოდიშელიძის მეთაურობით პარიზში მიემგზავრება და სამუსლიმანო საქართველოს მეჯლისის წარმომადგენელი ბ-ნი ჯემალ-ქიქავა. აუდიენცია ერთი საათი გაგრძელდა.

ბ-ნ მ. მ. ხოშტარიას სიტყვა.

„დღეს თქვენ წინაშე წარსდგნენ ადგილობრივი კონსულები, მაგრამ მათ შორის თქვენ ვერ ნახავთ საქართველოს რესპუბლიკის კონსულს. თუმცა აქ ჩემ თანამშრომელთა შორის არის პირი, რომელიც კონსულის მოვალეობას ასრულებს, მაგრამ საქმეთა ასეთ მდგომარეობას მე ვთვლი ისტორიულ გაუგებრობათ, რაც, მე იმედი მაქვს, თქვენი დახმარებით, მალე იქნება თავიდან აცილებული. მართლაც, ჩვენი მდგომარეობა მეტად უხერხულია, როცა ჩვენ გვიხდება ჩვენ სამშობლო მხარეში მივიღოთ ძვირფასი სტუმრები როგორც უცხოელებმა. და აქ ჩვენი მდგომარეობა ბათუმში განსაკუთრებით გასაგები უნდა იყოს თქვენთვის, მშვენიერი საფრანგეთის შვილთათვის, რომლებიც ხუთი ათეულ წლების განმავლობაში თავს დასტიროდნენ საფრანგეთის სხეულიდან მოწყვეტილ ელზას-ლოთარინგს.

მაგრამ თუ თქვენთვის ელზას-ლოთარინგი იყო მხოლოდ ერთი ყვავილი, თუმცა უმშვენიერესი ყვავილი მთელ ყვავილთა თაიგულში, ჩვენთვის კი ბათუმი და მისი ოლქი ისეთი ყვავილია, ურომლისოდ დაიღუპება არა მარტო სიმშვენიერე საქართველოსი, არამედ—მთელი აზრი საქართველოს სახელმწიფოებრივი არსებობისა.

მე ღრმათ მოხარული ვარ აღვნიშნო, რომ ყოველ ჩვენ შეხვედრის დროს დიდ და ჩვენთვის ძვირფას საფრანგეთის წარმომადგენლებთან, ჩვენ ყოველთვის გვიხდება მტკიცება, რომ თქვენ ყველა კარგათ მიგვიხვდებით ჩვენ და ყველა თანაგრძნობით ეპყრობით ჩვენს სამართლიან მოთხოვნილებას.

ამიტომ კი, დიდი მომენტი, როცა თანაგრძნობა მასიურ სიმპატიის ფურცლებიდან უნდა გადავიდეს აქტივობაში. და ჩვენ გამოვსთქვამთ ღრმა რწმენას, რომ საფრანგეთი, რომელიც ყოველთვის აძლევდა კაცობრიობას ინიციატივის მაგალითს, ამ საკითხშიაც პირველი აღიმაღლებს ხმას დასაკმაყოფილებლათ ჩვენ სამართლიან მოთხოვნილებებისას, ჩვენი ქვეყნის სასიცოცხლო ინტერესებისას.

ბ-ნ დე-მარტელის პასუხი.

„მე ღრმათ გმადლობთ თქვენ მისალმებისათვის და ამასთან ვსარგებლობ შემთხვევით აღვნიშნო, რომ ბათუმის საკითხის საბოლოოთ გადაჭრა მეტად ძნელია; ძნელია იმიტომ, რომ აქ ერთი მეორეს ეჯახება ბევრ სახელმწიფოთა ინტერესები, მოსალოდნელ გაუგებრობათა თავიდან ასაცილებლათ უმაღლესმა საბჭომ გადასწყვიტა მოახდინოს დროებით ნეიტრალიზაცია ბათუმისა და მის ირგვლივ მდებარე მცირედი ზონისა. საბოლოოთ გადაწყვეტა ამ საკითხისა მოხდება შემდეგ. ყოველ შემთხვევაში, მე ვფიქრობ, რომ როგორც არ უნდა გადაწყდეს ეს საკითხი, საქართველოს სუვერენული ხელის უფლება გავრცელდება ბათუმის ოლქის მთელ ტერიტორიაზე.

ამასთან ერთად მე ვფიქრობ, რომ ინტერესები ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებისა, რომლებიც თავდაპირველათ ერთ რესპუბლიკას შეადგენდენ და შემდეგ სამ დამოუკიდებელ რესპუბლიკათ გაიყვენ, დროებით მოითხოვენ დაახლოვებას, მჭიდრო თანამშრომლობას და შეთანხმებას, ვინაიდან, ჩემი აზრით, უამისოთ თითეული მათგანის არსებობა მეტად საძნელო გახდება. თუ მივიღებთ ამას მხედველობაში, დროებითი ნეიტრალიზაცია ბათუმისა, მე ვფიქრობ, საქართველოსთვის სასარგებლოც კია. სრულიად გასაგებია, რომ საკითხის გადასაჭრელათ რაიმე გადაწყვეტილების მიღება აქ ადგილობრივათ ჩემთვის შეუძლებელია, მაგრამ თქვენს განცხადებას გადავცემ სადაც ჯერ არს.

ამასთან მე შემიძლია გაუწყოთ, რომ პარიზში დიდი სიმპატიით ეპყრობიან საქართველოს ინტერესებს, ვინაიდან საქართველოს საქმეებს ბრწყინვალეთ იცავენ ბ. ბ. ჩხეიძე და წერეთელი, რომელთაც პარიზში დიდ პატივს სცემენ.

ბ ნ ხოშტარიას პასუხი.

„მე დარწმუნებული ვარ, რომ რამდენიმე ხნის განმავლობაში, როცა მიიღებთ ობიექტიურ ინფორმაციას ბათუმის საკითხის შესახებ, თქვენ შეძლებთ მოგვეცემთ უფრო გარკვევით, და იმედი მაქვს, დადებითად გამოსთქვათ თქვენი აზრი საქართველოს სამართლიან მოთხოვნილებათა შესახებ.

რაც შეეხება საკითხს მეზობელ სახელმწიფოთა ეკონომიურ ინტერესების დაცვისას, თქვენ თფილისში გექნებათ საშუალება გაეცნოთ ოფიციალურ დოკუმენტებს და დარწმუნდეთ, რომ საქართველო ყოველთვის ცდილობდა შეეთანხმებინა თავისი ინტერესები მეზობელთა ინტერესებისათვის, დაეჭირა საერთო საკითხები მეზობლებთან შეთანხმებით. ეკონომიური ინტერესები მეზობლებისა უსათუოდ დაცულ იქნება საქართველოს მიერ, მაგრამ ისიც არ უნდა იყოს საეჭვო, რომ ჩვენი სუვერენული უფლებები ბათუმში და ბათუმის ოლქში უნდა დამკვიდრდეს“.

გენერალ ოდიშელიძის სიტყვა.

„მე მხოლოდ ორიოდე სიტყვა უნდა ვთქვა, როგორც ჯარისკაცი და თან ყველაზე უფრო ხნიერი საქართველოს ჯარში, მე დიპლომატთა ენით ვერ ვლაპარაკობ; ამიტომ პირდაპირ გადმოგცემთ შემიძლიან განვაცხადო: ის, რაც ათასი წლობით ეკუთვნოდა საქართველოს, უნდა დაუბრუნდეს მას, საჭიროა მხოლოდ ბათუმის ოლქში ცოტა მანძილზე გამგზავრება რომ თქვენ ყოველ ნაბიჯზე შეხვდეთ ძეგლებს, რომლებიც აშკარად და მჭერმეტყველურად ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ აქ იყო საქართველოს აკვანი, რომ აქედან ეპყრობოდა საქართველოს სასიცოცხლო ძალები, რომ აქ ანვითარებდა ის თავის ნაციონალურ კულტურას.“

ჯემალ ქიქავას სიტყვა.

შემდეგ მიესალმა ბ-ნ დე-მარტელს მეჯლისის წარმომადგენელი ჯემალ-ქიქავა, რომელმაც აღნიშნა, რომ ეს მხარე მიუხედავად მრავალ საუკუნეების განმავლობაში შევიწროებისა ყოველთვის იცავდა ნაციონალურ იდეას და ჩვენ, ქართველი მუსლიმანები, ვამაყობთ მით, რომ ჩვენი დიდი სამშობლო საქართველო პირველათ ეზიარა კულტურას. და ამ მისი ნაწილის მეოხებით, აქაა აკვანი საქართველოს კულტურისა, აქ ძლიერდა უკვდავი ჩანგი რუსთაველისა. ჩვენ ან სულ ვერ ვიარსებებთ, ან და ვიარსებებთ მხოლოთ საქართველოსთან ერთად, მასთან განუყოფელად.

საუზმის ბოლოს ბ-ნი დე-მარტელი და საგანგებო რწმუნებული ბ-ნი ხოშტარია მეგობრული რეპლიკებით გამოეთხოვნენ ერთმანეთს და გამოსთქვეს რწმენა, რომ ბათუმის საკითხი გადაწყდება საქართველოს ნაციონალურ სახელმწიფოებრივ ინტერესების მიხედვით.

—

26 ამ თვეს, ნაშუადღევის 4 ს. ბ-ნი დე-მარტელი სადარბაზოდ იყო საქართველოს მთავრობის საგანგებო რწმუნებულ ბ ნ ხოშტარიასთან.

თანამედროვე მომენტი

25 მარტს ქ. ქალაქის საბჭოს დარბაზში შესდგა სოციალ-დემოკრატიული პარტიის თათბირი. დაესწრნენ: ცენტრალური კომიტეტი, საკონტროლო კომისია, თფილისის კომიტეტი, სამაზრო კომიტეტთა წარმომადგენელნი, თფილისის რაიონული კოლექტივები, დამფ. კრების ს. დ. ფრაქციის ბიურო და პარტიული ამხანაგები წევრნი საქ. პროფ. კავშირთა აღმასრულებელ კომიტეტის, თფილისის პროფ. კავშირთა სეკრეტარიატის, საქ. კოოპერატივთა კავშირის ცენტრის, სახალხო გვარდიის მთავარი შტაბისა, ქალაქთა და ერობათა კავშირის და თფილისის ქალაქის გამგეობისა. სულ დაესწრო 192 ამხანაგი. თათბირმა მოისმინა ამხ. ნოე ჟორდანიას მოხსენება*) არსებული მდგომარეობის შესახებ და ხანგრძლივი კამათის შემდეგ ერთხმად გამოიტანა შემდეგი რეზოლუცია:

საქართველოს სოც. დემ. მუშათა პარტიის ისტორიამ არგუნა მეტად საპასუხისმგებლო როლი არა მარტო ძველი სოციალ პოლიტიკური ურთიერთობის დანგრევის, არამედ—საკუთარი ძალღონით სრული დემოკრატიის განმტკიცებისა და ახალი სოციალური ურთიერთობის დამკვიდრებისა. და ეს იმ დროს, როცა მსოფლიო ომმა თითქმის ყველგან გამოიწვია მუშათა გვარდის შესუსტება და მისი ძალთა დაქსაქსვა.

ამ მიზანს პარტია თავდადებულათ ემსახურება და მიუხედავად მრავალგვარი საშინაო და საგარეო დაბრკოლებისა, რომელიც მან სამი წლის განმავლობაში გადალახა, თავისი გაშლილი დროშით ამ ასპარეზზე მოღვაწეობისას მან ერთი და ორი თვალსაჩინო იდეური და პოლიტიკური გამარჯვება მოიპოვა.

ასეთი ნაყოფიერი მუშაობა ორ გარემოებას მიეწერება:

1) პარტიის მუდამ ნათელი წარმოდგენა ჰქონდა იმ ძალთა კომბინაციებზე, რომელიც საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის გარშემო იხლართებოდა და თავის შეგნებული ნაბიჯებით ის მოწინააღმდეგე ძალებს არღვევდა და ხალხს თავიდან იშორებდა.

და 2) ის მუდამ ეყრდნობოდა არა მარტო პარტიის მთლიანობას და ორგანიზაციულ შეკავშირებას, არამედ მთელი დემოკრატიის ერთსულოვან ამოქმედებას მუშათა კლასის წითელი დროშის ქვეშ.

დემოკრატიის ერთობის განმტკიცება და მთლიანი რევოლიუციონური ფრონტის შექმნა იმ შინაური პოლიტიკის საქმეა, რომელიც სავსებით აგებულია პარტიის მიერ დიდი ხნით მიღებულ პროგრამასა და ტაქტიკაზე. სოციალ-დემოკრატიის მიზანია ძალა-უფლება, რომელიც მას მიანიჭა დემოკრატიის პოლიტიკურ გაბატონებამ, გამოიყენოს ყველა სოციალ-პოლიტიკური რეფორმათა სავსებით განხორციელებათ და შემდეგ, წარმოებისა და საკუთრების ახალ საფუძველზე მოწყობით და მათი განვითარებით შექმნას წინ სწარი პირობები სოციალისტური ცხოვრების დასაფუძნებლათ.

ამ მთავარი მიზნის მისაღწევათ პარტიის ხელმძღვანელობით სახელმწიფოს გადაეცა საკუთრებათ რესპუბლიკის ტყეები და მადნეულობა, რკინის გზები და სხვა სატრანსპორტო საშუალებანი, მსხვილი მამულები, სამკურნალო წყლები და სხ.; აგრეთვე ფართოვდება და ეწყობა სახელმწიფოს, ქალაქთა, ერობათა, თემთა და კოოპერატივთა მიერ ახალ-ახალი საწარმოო დარგები, ხოლო მთავარ საექსპორტო საქონელზე მონოპოლიის შემოღებით სახელმწიფო გაღრმავებს [illegible] ბაზარზე. ამავე დროს სახელმწიფო იძენს პირველ ხარისხის საგნებს და აწვდის მას მშრომელ ხალხს დაკლებულ ფასებში.

არსებულ პირობებში, როცა ეკონომიური ცხოვრება ძირ-ფესვიანად შერყეულია, სახელმწიფო და მუნიციპალური დაწესებულებანი მოკლებული არიან საშუალებას წარმოება და მოხმარება მარტო საკუთარი ძალღონით მოაწყონ. და აი, ეძლევა შესაფერი ასპარეზი კერძო ინიციატივას, რომ სხვა და სხვა საშუალებით, ომით და ანარქიით განადგურებული სახალხო მეურნეობა წესიერ კალაპოტში ჩადგეს და ფართო ასპარეზი გაეხსნას საწარმოო ძალთა განვითარებას.

პარტია აღიარებს, რომ მრავალი მიზეზით გამოწვეულ საწარმოო ძალთა განადგურების გამო მუშათა ეკონომიური მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა და რეალური ხელფასი დაეცა. ამასთანავე პარტია აღნიშნავს, რომ საქართველოს ხელმძღვანელ დაწესებულებათა მიერ არჩეული ეკონომიური პოლიტიკის წყალობით ეს მდგომარეობა სხვა მეზობელ სახელმწიფოებთან შედარებით გაცილებით უკეთესია და თან ის საშუალებას გვაძლევს საწარმოო ძალთა აღდგენით თანდათან თავი დავაღწიოთ ეკონომიური კრიზისს და მით შევქმნათ ნიადაგი მუშათა რეალური ხელფასის აწევის და მათი მდგომარეობის გაუმჯობესების. ამ გზიდან გადახვევა გამოიწვევს საწარმოო ანარქიის გაძლიერებას და მუშათა მდგომარეობის კიდევ უფრო გაუარესებას, აგრეთვე დემოკრატიის დასუსტებას, მისი სიმტკიცისა და ერთობის მოშლას და მით დემოკრატიულ სახელმწიფოს დანგრევას, რასაც არსებულ პირობებში გამოიწვევს რეაქციისა ან ანარქიის გაბატონებას.

თათბირი მოუწოდებს პარტიულ ორგანიზაციათა განსაკუთრებულ ყურადღებას დღევანდელ მომენტზე, როცა ჩვენს ირგვლივ დაგროვილია მტრული ძალები, რის დასაძლევად საჭიროა მთელი დემოკრატიის ერთსულოვანი ამოქმედება.

თათბირი მოუწოდებს პარტიულ ორგანიზაციებს და პარტიის ყველა წევრთ მხარში ამოუდგენ დემოკრატიის მიერ არჩეულ დამფ. კრებას და მის წინაშე პასუხისმგებელ მთავრობას და სასტიკად შეებრძოლონ იმ ელემენტებს, რომელნიც შეგნებულად თუ შეუგნებლად დემოკრატიის რაზმებს ქსაქსავენ და მის დასუსტებას იწვევენ.

თათბირი სრულ იმედს გამოსთქვამს, რომ პარტიის ნაცადი გზით სიარული ხელს შეუწყობს რესპუბლიკისა და დემოკრატიის მტერთა შემუსვრას და ფართო აღმშენებლობით მუშაობას, სოციალიზმის დამკვიდრებისაკენ მიმართულს.

---

*) მოხსენებას ამ დღეებში დავბეჭდავთ.

ჩრდილო კავკასიაში

„ვოლნი გორეც“-ის უკანასკნელ ნომერში შემდეგი ცნობებია მოთავსებული:

მთიელთა მთავრობა.

კავკაზში შესდგა მთიელთა მთავრობა ჰაიდარ ბამმატის მეთაურობით.

თავდაცვის საბჭოს მოწოდება.

ჩრდილო კავკასიის რესპუბლიკის თავდაცვის საბჭომ შემდეგი მოწოდებით მიმართა მცხოვრებთ: თავდაცვის საბჭოს ახალი შემადგენლობა, რომელიც არჩეულია მშრომელთა მასსის მიერ, დღევანდელ საპასუხისმგებლო და გარდატეხილ მომენტში, საჭიროთ სცნობს განაცხადოს, რომ იგი დროებითი ორგანოა, სანამ საბოლოოთ მოეწყობოდეს რესპუბლიკის მუდმივი მთავრობა. თავდაცვის საბჭო მიზნათ ისახავს რესპუბლიკის გაწმენდას მტრებისაგან, მართვა—გამგეობაში იხელმძღვანელებს შარიატისა და რევოლიუციის პრინციპებით და პასუხისმგებელია მთიელთა მშრომელ მასსების წარმომადგენელთა ყრილობის წინაშე, რომელიც შეიკრიბება თუ არა იმ წამსვე გადასცემს საბჭო მთელ ძალა-უფლებას.

ბრძოლა კომუნისტებსა და მთიელებს შორის.

10 მარტს სოფ. ლევაშში (დაღესტანში) შეტაკება მოხდა მთიელთა დამოუკიდებლობის მომხრეთა და კომუნისტებს შორის; მოკლულ იქნენ დაღესტანში კარგათ ცნობილი კომუნისტები—კაზბეკოვი და აბას-ალი ეფენდიევი დაიჭირეს დაღესტნის კომუნისტების ლიდერი კორკმასოვი. შეტაკებას საფუძვლათ დაედვა კომუნისტების მოთხოვნილება თავდაცვის საბჭოსაგან, რათა უკანასკნელს უარი ეთქვა დამოუკიდებლობაზე და შეერთებოდა რუსეთის საბჭოთა ფედერატიულ რესპუბლიკას. ხალხი დამოუკიდებლობის მომხრეა. მდგომარეობა თანდათან მწვავდება. კომუნისტებიც თანდათან იძულებულნი ხდებიან მთიელთა დამოუკიდებლობას შეურიგდნენ.

ნური ფაშის შეპყრობა

მაქალის ნაიბსტდების სიტყვით მახაჩკალაში (დაღესტანში) დაუპატიმრებიათ საბჭოთა რუსეთის მომხრე ჯარების უფროსი ნური ფაშა.

ბრძოლა ოსებსა და „მოხალისეებს“ შორის.

სოფ. შესლანში მდგარ „მოხალისეთა“ ოფიცრების რაზმს თავს დაესხნენ ოსები. ოფიცერთა რაზმის დასახმარებლათ გაგზავნილ იქნა კავკაზიდან დამხმარე რაზმები.

ინგუშების გაძარცვა ნარზანში.

ნარზანში ინგუშები თავს დაესხნენ სანატორიუმს და გაძარცვეს.

ბოლშევიკების მილიონები.

ასტრახანიდან გამოსული მოტორიანი ნავი, რომელსაც დაღესტნისათვის 10 მილიონი მანეთი მოჰქონდა, გამოტაცებულ იქნა ნაპირზე მაქოს ახლოს. ნავი დაიმსხვრა და ჩაიძირა. მგზავრები გადარჩნენ, ფული დაიკარგა.

გროზნოში.

მოხალისეები თანდათანობით სტოვებენ გროზნოს. მდგომარეობა გროზნოში მეტად გამწვავებულია. რევოლიუციონური ელემენტები და მუშები არ იღებენ აქტიობას, რადგანაც ეშინიათ, რომ საბჭოთა რევოლიუციური ჯარების მოსვლამდე ჩეჩნების ბანდებმა არ დაარბიონ ქალაქი. გროზნო მოწყვეტილია ჩრდილოეთის კავკასიის მხრით; ნარზანის ახლოს ინგუშებმა ლიანდაგი აჰყარეს.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

29 მარტი.

ხალხთაშორისი ცნობები.

სამხედრო ცნობა.

მურმანის რკინის გზის დასავლეთით ჩვენმა ჯარმა პიავოზერის ტბის დასავლეთით ნაპირს მიაღწია. პეტროკოპსის რაიონში მტერმა შემოგვიტია მაგრამ ქალაქისაკენ უკუვაგდეთ. 24 მარტს, ნოვოროსისკის 8 მარიოფიებით ანაპა ავიღეთ. ნოვოროსისკის ჩრდილოეთით 12 ვერსზე სადგ. ტონელნაიასთან ბრძოლაა. ვლადიკავკავის რაიონში ჩვენ სლეპცოვსკაია ავიღეთ. სადგ. შესლანზე მზვერავები მოქმედობენ.

შავი ზღვის ნაპირზე ტუაპსისა და თერგის ოლქში აჯანყებულთა რაზმებმა ჩვენ სარდლობასთან კავშირი დაიჭირეს და ჩვენ დირექტივებს ასრულებენ.

კავკასიის ფრონტი.

27 მარტს ჩვენ ბრძოლით ქ. ნოვოროსისკი ავიღეთ. ვლადიკავკავის დასავლეთით 60 ვერსზე ჩვენ ალექსანდროვსკაია ავიღეთ გროზნოს რაიონში პეტროვსკი ავიღეთ.

ზავის გარშემო

„იზვესტიაში“ სტეკლოვი სწერს: რუმინეთი, პოლონეთი და ლატვია ერთი მეორეს დამოუკიდებლად გამოსთქვამს სურვილს საბჭოთა რუსეთთან საზავო მოლაპარაკების დასაწყებათ.. (გამოტოვებულია) ლატვია მზათ არის მოლაპარაკება მოსკოვში დაიწყოს. პოლონეთი წინადადებას იძლევა, რომ დელეგატები ბორისოვში შეხვდნენ ერთმანეთს: პოლონეთი, იძლევა რა წინადადებას საზავო მოლაპარაკებაზე, იმავე დროს დასავლეთ ფრონტზე გაძლიერებულ შეტევას აწარმოებს. პოლონეთის მთავრობის ასეთი მოქმედება მის გულწრფელობაში ეჭვს იწვევს. საბჭოთა რუსეთს ზავი სურს, მაგრამ საგნის ფაქტიური მდგომარეობა ერთხელ კიდევ გვიმტკიცებს, რომ ჩვენ მზათ ვართ რა ზავის შესაკვრელად, იმავე დროს ფხიზლათ უნდა ვიყოთ.

რურის ოლქში.

რურის ოლქში ჯარი მტკიცეთ სდგას. მუშათა ძალა 100,000 კაცს აღწევს. მათ აქვთ მძიმე არტილერია და ჯავშნიანი ავტომობილები. მთავრობასთან მოლაპარაკება სწარმოებს ბრძოლის შესაწყვეტათ იმ პირობით, რომ მუშებს იარაღი დარჩეთ.

საფრანგეთი და საბჭოთა რუსეთი.

ლიონი საფრანგეთის საგარეო პოლიტიკის გამო მილიერანმა სთქვა, რომ საფრანგეთი საბჭოთა მთავრობასთან არ დაიწყებს დიპლომატიურ დამოკიდებულებას სანამ რუსეთში სახელმწიფოებრივი უფლება დამფუძნებელ კრებას არ გადაეცემა.

სკუტარის ოკუპაცია.

ლიონი. 27. ბელგრადში ცნობა მოვიდა, რომ იტალიელებმა სკუტარის ოკუპაცია მოახდინეს მას შემდეგ, რაც საფრანგეთის ჯარმა მისი ევაკუაცია მოახდინა.

პოლონეთის წინადადება.

27 მარტი. საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა პოლონეთის მთავრობისაგან მიიღო რადიო, რომლითაც პოლონეთის მთავრობა წინადადებას იძლევა მოლაპარაკება დაიწყონ 10 აპრილიდან ქ. ბორისოვში.

მჭუჭყიანი—კონტრ-რევოლიუციონერია.

„იზვესტიაში“ სემაშკო სწერს: მოსკოვში გვაჩვენა სახლების, ეზოების და ბინების გაწმენდის მაგალითი. მაგრამ ეს ცოტაა. საჭიროა რომ მთელი რესპუბლიკის ქალაქები და სოფლები სრულიად გაიწმინდოს. მოსკოვის საგანგებო სასანიტარო კომისია აწყობს „აბანოს კვირას“ მცხოვრებლებს გადასცემენ აბანოებს, დაურიგებენ საპონს და მდუღარე წყალს, გაფართოებული იქნება საპარიკმახეროები და სხვ. საზოგადო სისუფთავეს უნდა მოჰყვეს პირადი სისუფთავეც. პირველი ჰკლავს ხოლერას, მეორე—ტიფს 6 სახეს. მკაცრი კონტროლი უნდა იქნეს შემოღებული, რომ ყველამ შეასრულოს ეს. გაწმენდა—ამას მოითხოვს ჩვენგან ათასი და შეიძლება ასი ათასი ადამიანის სიცოცხლე. ეპიდემიის მოსპობა ნიშნავს ჩვენი გამარჯვების დაჩქარებას როგორც სამხედრო ფრონტზე, ისე მეურნეობის აღდგენის საქმეში. ყოველი მეჭუჭყე, მჭუჭყიანი—ეს კონტრ-რევოლიუციონერია და ის უნდა დაისაჯოს.

დეზერტირობა შრომის არმიებში.

ეკატერინბურგი. 21 მარტი. რომ დამყარებულ იქნეს მუშებში დისციპლინა შრომის არმიის საბჭომ დაადგინა დაარსდეს მშრომელთა საჯარიმო რაზმები, რომელთა დანიშნულებაც იქნება შეებრძოლოს მუშათა არმიებში დეზერტირობას.

ახალი კაბინეტი.

ნაუენი. 27 ახალ კაბინეტში შედის: 5 სოციალისტების უმრავლესობის, 4 დემოკრატი, 4 ცენტრის პარტიის წევრი. ყოფილი კანცლერი ბაუერი კაბინეტში შევიდა, მიიღო გზათა მინისტრის პორტფელი.

ფრანგული პრესის ცნობები.

ჯარების განიარაღება და მუშათა სინდიკატებთან შეთანხმება.

(დასაწყისი არ მიგვიღია)... იმ ჯარების განიარაღება, რომელნიც სახელმწიფო გადატრიალებაში იღებდენ მონაწილეობას და მუშათა სინდიკატებთან შეთანხმება, ან ყველა ის პირნი, რომელნიც არ ეთანხმებიან [illegible] დამოუკიდებელი დემოკრატები.

საგარეო პოლიტიკა.

მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მილიერანმა პარასკევს პალატაში მოხსენება გააკეთა მთავრობის საგარეო პოლიტიკის შესახებ. მან განაცხადა მოკავშირეთა განმეორებულ გადაწყვეტილების შესახებ, რომ ისინი საბჭოთა რუსეთთან არავითარ დიპლომატიურ დამოკიდებულებას არ დაიჭერენ.

სომხეთის საკითხი ლონდონის კონფერენციაზე.

ლონდონის კონფერენციაზე იხილავდენ სომხეთის საკითხს. „პტი პარიზიენის“ ცნობით უკვე გამორკვეულია სომხეთის საზღვრები და პრეზიდენტ ვილსონის მიერ გამოთქმულ სურვილის თანახმად ახალ სახელმწიფოს გამოსავალი ექნება შავ ზღვაზე, მანდატის საკითხის შესახებ არავითარი გადაწყვეტილება არ მიუღიათ.

ბათუმის საკითხი.

ლონდონის კონფერენცია შეუდგა ბათუმის საკითხის განხილვას, მაგრამ არც ამის შესახებ გამოუქვეყნებია მას საბოლოო გეგმა. ჯერ-ჯერობით კონფერენცია შეთანხმდა ამ ნავთსადგურში საერთაშორისო საზღვაო ძალების გაგზავნაზე, რომელმაც უნდა დაიცვას ქალაქი, მისი მიდამოები და ბათუმ-ბაქოს რკინის გზა.

გერმანიაში.

ბერლინში პარასკევისათვის დანიშნული ეროვნული ყრილობის სხდომა გადაიდო. მილერმა შეადგინა ახალი კაბინეტი. სჩანს, რომ დიუსელდორფში წესრიგი აღდგენილია. მიუხედავად კომუნისტების ცდისა, მდგომარეობის ბატონ-პატრონი სოციალ-დემოკრატებია.

ბერლინიდან მოსული ცნობით მილერის სამინისტრო თითქმის უკვე შედგენილია. „ფოსიშე ცაიტუნგის“ ცნობით მასში შესულან კანცლერათ და საგარეო საქმეთა მინისტრათ გერმან მილერი, შინაგან საქმეთა მინისტრათ და ვიცე კანცლერათ კოხი (დემოკრატი) სამხედრო მინისტრათ გესლერი (დემოკრატი) იუსტიციის მინისტრათ ბლუნკი (დემოკრატი) ეკონომიის მინისტრათ რობერტ შმიდტი, სურსათ სანოვაგის-ჰერმესი (ცენტრიდან), გზათა და ტრანსპორტის-ბაუერი, ფოსტის-გისბერტსი (ცენტრიდან) შრომის შლიკე, სახელმწიფო ხაზინის დ-რ ვირტი (ცენტრი) ფინანსთა კუნო.

რურის ხეობაში კომუნისტებისა და მუშათა ორგანიზაციებს შორის მოლაპარაკებაა. მეორეს მხრივ „პტი პარიზიენი“ შემდეგ ინფორმაციას იძლევა: მაშინ, როდესაც ბერლინი კრიზისის მსხვერპლი შეიქნა, პარიზში ცნობა მოვიდა, რომ მთავრობის ჯარები უნებართვოთ შედიოდენ ნეიტრალურ ზონაში.

საგარეო პოლიტიკა

შაბათს მილიერანმა პალატაში განაცხადა: საფრანგეთისათვის უცხოა ყოველ გვარი იმპერიალისტური და მილიტარისტული იდეა. მან იარაღს ხელი მოჰკიდა თავის დასაცავად. ამდენი მსხვერპლის დახოცილ შვილთა და თავის გამარჯვების ღირსი არ იქნება, თუ იგი ხელიდან გაუშვებს ამ გამარჯვების შედეგებს. ამიტომ იგი, ძლიერი პოლიტიკის დახმარებით აიძულებს ყველას თავის უფლებათა პატივისცემაზე. მთავრობას 518 ხმით 70 წინააღმდეგ ნდობა გამოუცხადეს.

გერმანული პრესის ცნობები.

საერთო მდგომარეობა.

(დასაწყისი არ მიგვიღია) მუშებს შეუძლიათ იარაღი დაიტოვონ და მოქალაქეთა სიცოცხლის და ქონების დაცვა გადაეცემა შეიარაღებულ მუშათა ძალას, რომელიც დაფუძნებულიც უნდა შეიქმნეს. დაფუძნებულიც უნდა დაიპატიმრონ ყველა ის ოფიცრები და მოხელეები, რომლებიც შეთქმულებაში მონაწილეობას იღებდნენ. ულტიმატუმში სხვა მოთხოვნილებაც არის, რომლებიც სავსებით ნათლად არ არის გამოთქმული და თუ ისინი დაკმაყოფილებულ იქნა, მაშინ ეჭვმიუტანელი გერმანიის რესპუბლიკის შეცვლა საბჭოთა მთავრობით, სულ ადვილი საქმე იქნება.

სჩანს, რომ განახლებული საერთო გაფიცვები არ უნდა გვეჩვენოს ძლიერ სერიოზულად, თუ უკმაყოფილონი არიან მხოლოდ დამოუკიდებელნი რადგანაც პირველი—ისინი მცხოვრებთა 20 პროც. არ წარმოადგენენ, მეორე ისინი კაპპის შეთქმულების დროს მომხრენი არ იყვნენ და მაშინ თუმცა შეეცადნენ ესარგებლათ მომენტით, რომ უკეთესად მოეწყოთ თავისი ანარქიული გეგმები. მაგრამ მალე დარწმუნდნენ ძალების სიმცირეში და ამიტომ დაეთანხმდნენ შეეწყვიტათ გაფიცვები, როდესაც გერმანიის სხვა მუშებმა დაიწყეს მუშაობა. გუშინდელი ულტიმატუმის მთავარი მიზანია რურის ოლქში ანარქისტულ პარტიზანების გადარჩენა მომავალ მოქმედებისა-

სათვის. თუმცა ჩვენ გვესმის, რომ რუსეთის ბოლშევიკები პოლონეთის ფრონტზე უტევენ, რომელსაც ეჭვს გარეშე, რომ დამოკიდებულება აქვს გერმანიის ამბებთან, განსაკუთრებით რურის ოლქთან და თუმცა რადეკი და რურის ოფიცრები ამ ჟამად აწყობენ წითელ არმიას, მაგრამ კორესპონდენტი „ტაიმს“—ისა მაინც ამტკიცებს, რომ ბოლშევიზმი არ არის მზათ ასეთ ნაადრევ სამხედრო შემოხვევისათვის და ამგვარი გეგმები სხვა დროისთვის უნდა გადასდოს, როდესაც დასავლეთ ფრონტზე ოპერაციები... (დამახინჯებულია)... ამტკიცებენ, რომ ახლად შემდგარი წითელი არმია უმეტეს ნაწილად შესდგება პოლონელისა და რუსის მეომარ-ტყვე მუშებისაგან, რომელთა უმეტესი ნაწილიც რურის ოლქში მუშაობდა რომელთაც და რუსის ოფიცრობა ხელმძღვანელობენ, თუმცა მათ შორის არიან გერმანელებიც, როგორც მაგალითად, კაპიტანი ბეროუელდი. ვენიდან მოსული კერძო ცნობები ამტკიცებს, რომ ბერლინში დამოუკიდებელ კომუნისტების გაძლიერების მიზეზია რურის ოლქში წითელი არმიის შენარჩუნება. და ამიტომ მათ გაგზავნეს ემისრები, რომლებიც წინადადებას აძლევენ შეწყვიტონ ბრძოლა, რადგან ამ ჟამად ეს მხოლოდ ძალების ზედმეტ დახარჯვას ნიშნავს. ამ მიზნით დამოუკიდებელთა საერთო გაფიცვის მუქარა არ უნდა მივიღოთ სერიოზულად, მაგრამ უკმაყოფილება თავს იყრის სხვა სოციალისტთა შორისაც. ახე შპანდაუდან სჩივიან, რომ მონარქიული გენერალი შეფემელი კაპის შეთქმულებით სახელგანთქმული, მეფობს მთელს ქალაქზე და მთავრობის დაწესებულებებზე, იგი ემუქრება ძველ მასალებსა და ბიუროკრატებს, (დამახინჯებულია) გამოუშვეს მოწოდება, სადაც ისინი სჩიოდენ რომ კაპის აჯანყების დროს ოფიცრები რეაქციონერობდენ და ბოროტ-მოქმედებას სჩადიოდენ და დაუყონებლივ მათ დევნას მოითხოვენ. გერმანიის ცენტრალური დაწესებულებები და ადგილობრივი კავშირებიც ენერგიულ პროტესტს აცხადებენ და მთავრობისაგან მოითხოვენ, იმ პროფესორთა გადაყენებას, რომელნიც კათედრიდან კაპის საქმეებს ქადაგებდენ.

ახალი ამბები

ანკეტა შემოდგომის ნათესის მდგომარეობის და სურსათის რაოდენობის გამოსარკვევად. ცენტრალურმა კომიტეტმა შეიმუშავა შემოდგომის ნათესის მდგომარეობის, სურსათ სანოვაგის რაოდენობის და სხვადასხვა საგნებზე ადგილობრივი ფასების გამოსარკვევი ვრცელი ანკეტა და დაუგზავნა მაზრის ერობებს თემებს და მოხალისე კორესპონდენტებს. სულ დაეგზავნილა 5,000-მდე ანკეტა რესპუბლიკის სხვადასხვა კუთხეებში. ზოგიერთ მაზრებიდან და განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოდან უკვე მოდის შევსებული ანკეტები, რომლებიც ასურათებს მაზრების მდგომარეობას. სხვა მაზრებიდან პასუხს აგვიანებენ. ვინაიდან ეს გამოკვლევა არის საჩქარო და აქვს დიდი მნიშვნელობა, ცენტრალური სტატისტიკური კომიტეტი დაბეჯითებით სთხოვს მაზრის ერობებს, თემებს და მოხალისე კორესპონდენტებს, რომელთაც ჯერ არ გამოუგზავნიათ შევსებული ანკეტები, დააჩქარონ ასეთების დაბრუნება.

◆ **სრულიად საქართველოს მეაბრეშუმეთა** პირველი ყრილობა მოხდება ქ. ქუთაისში კვირას, ოთხს აპრილს ქუთაისის საბრეშუმო სადგურის შენობაში დღის 12 ს საორგანიზაციო კომიტეტი თავმჯდომარე სთხოვს ერობებს, კოოპერატივებს, დაწესებულებებს, ქალაქებს და მწარმოებლებს გამოგზავნონ თავიანთი წარმომადგენლები.

◆ **განათლების კომისიაში.** დამფ. კრების განათლების კომისიაში სამხედრო მინისტრმა წარადგინა პროექტი სამხედრო სამინისტროსთან არსებულ კულტურულ-განმანათლებელ სექციის შტატებისა და ხარჯთ აღრიცხვისა. ამ პროექტის მიხედვით ხაზინიდან უნდა გადაიდოს 3,061 975 მანეთი.

◆ **მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა** დასახმარებლად მთავრობის საგანგებო კომიტეტის დადგენილებით სახელმწიფო მოსამსახურეთა თხოვნა მათთვის მუდმივ ბინათა აშენების შესახებ უშედეგოთ დატოვებულია. კომიტეტის მიერ მათთვის დროებით აშენებულია, ხოლო მუდმივი ბინების შესახებ უნდა იზრუნონ ადგილობრივ მმართველობამ და მთავრობამ.

◆ **თიანეთიდან.** შემდეგი დეპეშა მივიღეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ 30 ნომერში მოთავსებული ცნობა, არ უშვებდეს გვარდიის მთავარ შტაბისთვის შეძენილ ხორბალს, სიმართლეს არ შეეფერება, პირიქით, გვარდიას და ჯარს თიანეთის სამაზრო ერობა ყოველგვარ დახმარებას უწევს ხორბლეულობის შეძენა-გატანაში რასაც დაამოწმებენ სახელმწიფო უწყების აგენტი ჩაჩავა და გვარდიის რწმუნებული შეცბერიშვილი. გვარდიამ [illegible] და ჯარისთვის საკვები უკვე წილად ამზიდის რაიონიდან ოთხი ათასი ფუთი ხორბლეულობა. გამგეობა.

◆ **დამფუძნებელი კრების წევრი** ამხ. პავლე წულაია რამდენიმე კვირაა ავათ არის ფილტვების ანთებით. ეს სამიოდე დღეა ავათმყოფმა მოიხედა და ექიმების აზრით აწ საშიში არაფერია. კრიზისი ერთობ მძიმე იყო.

◆ **სახალხო სახლი.** დღეს სადამოს ქართ. წარმ. მმართველი წრის მიერ წარმოდგენილი იქნება „იმედის დაღუპვა“. ადგილების ფასი სახალხოა. დასაწყისი სადამოს 7 ნახ. ს.

◆ **გორის ქალთა გიმნაზიაში** 27 მარტიდან განახლდა მეცადინეობა. გიმნაზია მოთავსებულია თფილისის ქალთა მეორე გიმნაზიაში. მეცადინეობა სწარმოებს ნაშუადღევის 2 საათიდან.

◆ **საგანგებო კომიტეტში.** 22 მარტს მიწისძვრისაგან დაზარალებულთა დამხმარე მთავრობის საგანგებო კომიტეტის სხდომაზე დადგენილ იქნა:

— 1 მაისიდან სურამ-ბორჯომ-ხაშურის რაიონში დაბინავებულ ლტოლვილებს მოეხსნათ ბინისა და სურსათ-სანოვაგის უფასოთ მიცემა, რაც წინდაწინვე გამოეცხადოს ლტოლვილებს, ხოლო მათ ბარგის რკინის გზით გადაზიდვაში კომიტეტი დაეხმარება.

— საჩქაროთ მიეწეროს ყველა კომიტეტის დაწესებულებათ წარმომადგენლობ მთავარ კომიტეტში თავისი მუშაობის ანგარიშები.

— დაევალოს გორის ქალაქის გამგეობას და გორის სამაზრო ერობას ერთმანეთთან შეთანხმებით კოოპერატიულ ნიადაგზე მოაწყონ საკუთარი ფურნე. ამ მიზნისათვის საქმის დაწყებისათვის კომიტეტი აძლევს მათ თავის ხარჯზე 1—2 ვაგ. ფქვილს. ფურნის შეკეთება მიენდოს ინჟ. ბერეჯანიძეს და 25 მარტიდან მოიხსნას უფასო პურის დარიგება, მხოლოდ ღარიბებს პური დაურიგდეთ იმ ფასებში.

— გამოეცეს დასრულებული კრებული გორში მომხდარ უბედურების აღსანიშნავად, სადაც მოთავსებული იქნება ყველა მომქმედ კომიტეტის განყოფილებათა მოხსენებანი და ანგარიშები და ნანგრევების სურათები. ამის საერთო ხელმძღვანელობა მიენდოს კომისიას შემდეგი შემადგენლობით: ივ. გომართელი, პ. გელეიშვილი და ექ. ზანდუკელი.

— იმ მოწაფეთ, რომელნიც გადაყვანილნი არიან სხვადასხვა ადგილებში, გამოეცხადოთ პრესისა და განათლების სამინისტროს საშუალებით, რომ ისინი ვალდებულნი არიან თავის ფასით იყიდონ რკ. გზის ბილეთები ქ. ბორჯომში დასაბრუნებლათ და შემდეგ წარუდგინონ კომიტეტს, რომლის მიხედვითაც აუნაზღაურებათ მათ გაწეული ხარჯები.

◆ **სახელმწიფო თეატრი.** დღეს—„აბესალომ და ეთერი“; ოთხშაბათს, 31 მარტს—სტროშტინას მონაწილეობით „გოფმანის ზღაპრები“.

◆ **სახალხო უნივერსიტეტში.** დღეს, სამშაბათს 30 მარტს წაიკითხავენ ლექციებს:

მე 3 განყოფილებაში (ნაძალადევში) 1) ალ. წერეთელი—ისტორია; 2) დ. ასათიანი—საფრანგეთის რევოლუცია.

ცენტრში 1) ექ. ტურიაშვილი—ჰიგიენა; 2) ვ. ბარნოვი—ქართული მწერლობა.

◆ **ლექტორებს.** სახალხო უნივერსიტეტში ლექციების წაკითხვის მსურველმა უნდა მიმართოს სამმართველოში პლეხანოვის ქ. № 128 გამგეს—ი. ანთაძეს ან გამგეობის თავმჯდომარეს, დამფუძნებელი კრების ქვესტორს სერ. [illegible].

კრებები.

სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკო-მათემატიკური დარგის გამგეობა ამით აცნობებს ამხანაგებს, რომ ხუთშაბათს სად. 7 ს. დანიშნულია საერთო კრება სტ. მათემატიკოსების.

— დღეს, 30 მარტს, სად. 7 ს. ქართული სამუს. კოლეგია იწვევს თავის წევრებს და ყველა მუსიკოსებს კრებაზე, რომელზედაც განხილული იქნება საოპერო სტუდიის და კაპელის რეორგანიზაცია, რათა საერთო ძალით სასურველ და მტკიცე ნიადაგზე დაამყარონ ქართ. საოპერო სტუდია და კაპელა. (პეტერბურგის ქ. № 8. ქართ. სამუს. საზ—ბა).

უცხოეთი

ინგლისი

ბრიტანეთის ვაჭრობა ახლო აღმოსავლეთში ახლო აღმოსავლეთში დიდძალი საქონელი შეაქვს ინგლისს. ოსმალეთის ყოფილ ოლქებში 3 თვის განმავლობაში შეიტანა 11,557,948 გირ. სტერ. საქონელი, ინგლისის ვაჭრობის საქმე ახლო აღმოსავლეთში ძველი უკეთეს პირობებში სწარმოებს ამ ჟამად, ვიდრე ეს იყო ომამდე. ახლო აღმოსავლეთიდან ინგლისს 1919 წელს 9 თვის განმავლობაში გაუტანია საქონელი 5,435 573 გირ. სტერლინგის. ექსპორტი ინგლისიდან საბერძნეთში 1919 წ. პირველ იანვრიდან პირველ ოქტომბრამდე გამოიხატებოდა 3,812,161 გირ. სტერლინგის ექსპორტი ინგლისიდან საბერძნეთში 1919 წ. პირველ იანვრიდან პირველ ოქტომბრამდე გამოიხატებოდა 3,812,161 გირ. სტერ. 1918 წელს კი საბერძნეთში შეიტანეს ინგლისური საქონელი 760,465 გირ. სტერ. საბერძნეთიდან ინგლისში გაიტანეს საქონელი 6,779,116 გირ. სტერ. ამავე ხნის განმავლობაში რუმინიაში შეიტანეს 2,551,815 გირ სტერ. იქიდან გაიტანეს საქონელი 1,908,024 გირ. სტერ.

გერმანიის მრეწველობისათვის. ანგლისური გაზეთი „ივნინგ სტანდარტი“ იგებს რა უმაღლეს ეკონომიური საბჭოს დადგენილებას ევროპის ეკონომიური აღორძინების შესახებ სხვათა შორის სწერს: მოკავშირეებმა დაადგინეს დახმარება აღმოუჩინონ გერმანიის მრეწველობას ნედლი მასალის მიწოდებით. ევროპა დაინტერესებულია, რომ გერმანიის მრეწველობა აღორძინდეს. გაზეთის ცნობით უმაღლეს საბჭოს გადაუწყვეტია ვალუტის საქმე მოაგვაროს იმ პატარა სახელმწიფოებში, რომლებიც აღმოცენდნენ ევროპაში. თანახმად პარიზის ხელშეკრულებისა ეკონომიურმა საბჭომ დაადგინა აგრეთვე ნახშირის ნაცვლად წყლის ენერგია იქნას გამოყენებული ფართო მასშტაბით.

ოსმალეთი.

ოსმალეთის პრესა პარლამენტისა და მთავრობის შესახებ. ოსმალეთის პრესის ერთი ნაწილი შეურიგებელ მტრობას იჩენს ოსმალეთის პარლამენტისა და მთავრობის მიმართ. გაზ. „პრიამ-საბახ“ ი სწერს: დღეს ჩვენ გვიდგა ისეთი მთავრობა, რომელიც იმოქმედებს სამართლიანობის პრინციპების მიხედვით, არ შეუშინდება ოპოზიციას და მისცემს მას საშუალებას კრიტიკა აწარმოოს; ისეთი მთავრობა, რომელიც გაბედულათ იმოქმედებს თავის ქვეყნის ინტერესების დასაცავათ. მხოლოდ ასეთ მთავრობას შეუძლია ავტორიტეტით ისარგებლოს უცხოეთის თვალში. მეორე გაზეთი „სერვეტი“ დაუშვებლათ სთვლის დღევანდელ პარლამენტის არსებობას და სწერს: კრება, რომელიც მებუთვრებით 20 პროცენტმა აირჩია და ისიც ისეთ პირობებში, როდესაც არჩევნები თავისუფალი არ იყო, არ შეიძლება ხალხის წარმომადგენელ ორგანოთ ჩაითვალოს. პარლამენტს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს უცხოეთის თვალში. რა უნდა ვუპასუხოთ ჩვენ მოკავშირეებს, როდესაც ისინი იტყვიან, რომ ჩვენი პარლამენტი არ არის ნამდვილი პარლამენტი? — კითხულობს გაზეთი. ვფიქრობ, მოკავშირეებმა იცნეს იგი ნამდვილ პარლამენტათ და წარმოდგინეს საზავო პირობები. გაზეთის აზრით პარლამენტი ვერ შეასრულებს ამ პირობებს და მის დასამტკიცებლათ, სხვათა შორის, ასეთ კითხვას აყენებს: როგორ უნდა დაამყაროს ოსმალეთის პარლამენტმა მოკავშირეების მოთხოვნილება სამხედრო დამნაშავეთა გაცემის შესახებ, როდესაც ეს დამნაშავენი თვით პარლამენტში სხდან?

საფრანგეთი.

რუსეთი და მოკავშირენი. პარიზის გაზეთები იტყობინებიან, რომ რუსული სავაჭრო მისსია ნოვაკოვის მეთაურობით რეველში მისულა და დაუწყია ურთი ერთობა ინგლისის და ამერიკის კომერსანტებთან.

გაზეთ „ნიუ იორკ ჰერალდის“ ცნობა, თითქოს ინგლისს, იტალიას და იაპონიას გადაუწყვეტიათ საბჭოთა მთავრობის ცნობა, უარყოფილია. გაზეთი „ტან“ მოითხოვს, რომ საფრანგეთი არ მიემხროს არც ერთ ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც შეეხება საბჭოთა რუსეთთან დამოკიდებულების აღდგენას. გაზეთის სიტყვით, კომპეტენტური წრეები ამ ჟამად შეუძლებლათ სცნობენ რუსეთთან სავაჭრო ურთიერთობის დაჭერას. რადგანაც [illegible] რუსეთში რკინის გზის ტრანსპორტი სავსებით დანგრეულია. ესტონიის დელეგაციამ პარიზში უარყო გაზეთებში მოთავსებული ცნობა იმის შესახებ, თითქოს საბჭოთა რუსეთის და ესტონეთის შორის დადებულ ხელშეკრულებაში იყოს საიდუმლო მუხლები.

რუსი ტყვეები. საფრანგეთიდან ადესის მიმართულებით გამოვიდა გემი, რომელზედაც არის 1500 რუსი ტყვე ჯარისკაცი და ოფიცერი. გარდა ამისა, სალონიკიდან გაიგზავნება 200 რუსი ჯარისკაცი, რომლებიც საფრანგეთიდან არიან გამოსულნი. სამაგიეროთ, საფრანგეთის ესკადრა მოითხოვს საბჭოთა მთავრობისაგან ამდენივე რუსეთში დაკავებულ ფრანგების მ ცემას.

რუსეთი.

„მოხალისეთა“ იმედები ყირიმზე. ყირიმი აქვთ წარმოდგენილი თავიანთ დასაყრდენოთ ბაზათ ყველა მათ, ვისაც ჯერ კიდევ საბოლოოდ არ დაუკარგავს იმედი ბოლშევიკების დამარცხებაზე. ყირიმში ჯერ კიდევ წინანდებური სიცხოველით გრძელდება ბრძოლა მოხალისეთა და ბოლშევიკებს შორის და ამ ბრძოლაზე არავითარი გავლენა არ მოუხდენია დონში და ყუბან-თერგზე მომხდარ „მოხალისეთა“ დამარცხებას. ხმები დადის, რომ „მოხალისეთა“ მთავარსარდლობას განზრახული აქვს თავი მოუყაროს მთელ თავის ძალებს ყირიმში და აქედან დაიწყოს გენერალური შეტევა. ჯარებს მეთაურსარდლობს 30 წლის გენერალი სლაშჩევი, ენერგიული მხედარი. მაგრამ „მოხალისეთა“ ზურგში ისეთივე მოვლენებს აქვს ადგილი, როგორიც ყოველთვის ხელს უშლიდა მათ წინსვლას: ზურგში ამბოხებები ხდება, მუშების უკმაყოფილება თანდათან ძლიერდება და სხვ.

სომხეთი.

კოალიციონური მთავრობის გარშემო. 26 მარტს შესდგა სხდომა კოალიციონური მთავრობის შესახებ შეკითხვის გასარჩევათ. დაესწრენ: პრემიერი ხატისოვი, მთავრობის რწმუნებული ჯამალიანი და პარიზის ნაციონალურ დელეგაციის წარმომადგენელი ს. არუთიუნიანი. ჯამალიანმა განაცხადა, რომ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მთავრობას მხოლოდ მაშინ შეუძლია, როდესაც დაშნაკცუტუნის კონფერენცია გამოიტანს ამის შესახებ თავის გადაწყვეტილებას. არუთიუნიანმა უპასუხა, რომ მთავრობა დაშნაკცუტუნთან კი არ აწარმოებს მოლაპარაკებას; ამ პარტიის ყრილობამ მარშინაც კი განაცხადა თანხმობა. მთავრობამ უკვე მისცა წინადადება ჰოგოს ნიშნებს; შეთანხმება უკვე მოხდა და ამიტომ მთავრობას არა აქვს საფუძველი უარი სთქვას თავის წინადადებაზე. შეთანხმება ჩაიშალა, მოლაპარაკება შეწყდა. არუთიუნიანმა მოლაპარაკების შესახებ ცნობები გაუგზავნა პარიზის ნაციონალურ დელეგაციას.

აზერბეიჯანი.

თურქ თათრების თავდასხმა. ერევნიდან იტყობინებიან, რომ იმ დროს, როდესაც აზერბეიჯანის ჯარები და თათართა ბანდები აწარმოებდენ შეტევას ყარაბახის, ზანგეზურის, მახტინისა და [illegible] მიმართულებით,—მძლავრი თურქ თათართა რაზმი თავს დაესხა ეგდირს, 26 მარტს ეს რაზმი სასტიკათ დაამარცხა სომხეთა რაზმმა და გადარჩენილ სომხებს დარჩათ დიდი სამხედრო ნადავლი. („სლ.“).

ყარაბახის გარშემო გაზ. „აზერბეიჯანში“ მოთავსებულია მთავრობის შემდეგი ცნობა: ყარაბაღიდან მოსული ცნობების თანახმად სომხები განაგრძობენ თავდასხმას. თავდამსხმელები, რომლებიც შეშინდნენ, ხანკენდისაკენ და ჰუნქეფისაკენ აწარმოებდენ ბრძოლას, უკუქცეულ იქნენ. მოგერიებულია თავდასხმა ლაბა ტერენტუთანაც. ავიღეთ სომხების გამაგრებული პოზიცია—იუზბაშლუ ხან-სეგნახის მაღლობი. ზანგეზურიდან-მოსულ ცნობების თანახმად სომხებმა განაახლეს თავდასხმა მთელ მაზრაში და იკლებენ მუსულმანთა სოფლებს. ოფიციალურად მიღებულ ცნობებით [illegible] ბანდების დასახმარებლად ნაწილები მოვიდა ბაიაზეთის მაზრიდან. ჩვენი ჯარის ნაწილები ბრძოლაში მონაწილეობას არ იღებენ; ხოლო პარტიზანული რაზმები თავდაცვითი ბრძოლას აწარმოებენ. ასკერანის მაღლობი ჩვენს ხელშია.

ოსმალეთში

ტრაპიზონიდან და სამსუნიდან მიღებული თურქული გაზეთები შემდეგ ამბებს გადმოგვცემენ:

16 მარტს, დილით სტამბოლში ინგლისელები თავს დაესხნენ შეჰზადე-ბაშის რაიონის საგუშაგო პუნქტს, მოხდა შეტაკება, რომლის დროს მოკლულ იქნა 6 ასკერი და დაიჭრა 15, ამის შემდეგ ეს პუნქტი ინგლისელთა რაზმმა დაიჭირა.

ინგლისელთა რაზმებმა დაიკავეს აგრეთვე სამხედრო სამინისტრო, თოფხანა (არსენალი) და ფოსტა-ტელეგრაფის ყველა სადგურები, რის გამო შეწყდა სატელეგრაფო ურთიერთობა ოსმალეთის პროვინციებთან. ამ დღეს ინგლისელები განაგრძობდნენ პორტიდან ქალაქში თავის ჯარების გადმოსხმას.

ვინაიდან სატელეგრაფო-სატელეფონო სადგურები ინგლისის რაზმების ხელშია ამიტომ პროვინციებთან ოსმალეთის მთავრობას კავშირი არ აქვს. ანგორიდან მიღებული დეპეშა გადმოგვცემს, რომ 17 მარტს ღამით ბრუსის რაიონიდან ზარბაზნების ხმა მოისმოდა. მაგრამ ამ ცნობის შემოწმება ყოვლად შეუძლებელია.

სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან, რომ ოსმალეთთან საზავო ხელშეკრულების ძირითადი დებულებანი გამოიხატება შემდეგში: სირია, პალესტინა და არაბეთი ჩამოშორდება ოსმალეთს. სირიას განსაზღვრული პირობებით მიეცემა დამოუკიდებლობა სმირნაში ოსმალეთის სუვერენიტეტის შენახვით, დაარსდება საბერძნეთის მართვა-გამგეობა ფრაკიაში საფრანგეთის პროტექტორატის ქვეშ უნდა დაარსდეს ადგილობრივი მართველობა. ვანის და ბითლისის ვილაეთები და არზრუმის ვილაეთის ერთი ნაწილი გადაეცემა სომხეთს. ამავენაირივე სომხეთის მხრივ ზღვაზე გამოსავალი მიეცემა ტრაპიზონის და ბათუმის შუა.

ინგლისელებმა დაატყვევეს პარლამენტში სივასის დეპუტატები რაუფ-ბეი და ვასიფ-ბეი. რაუფ-ბეი ოსმალეთის ყოფილი საზღვაო მინისტრია. ის ოსმალეთის საზავო დელეგაციის თავმჯდომარეც იყო, როცა ოსმალეთთან ტრაპიზონში მოლაპარაკებას აწარმოებდა ზავის შეკრებაზე ამიერ კავკასიის დელეგაცია.

რაუფ ბეის და ვასიფ ბეის დატყვევების შემდეგ დეპუტატებმა მიატოვეს პარლამენტი და განაცხადეს მთავრობას, რომ ასეთ პირობებში საპარლამენტო მოღვაწეობა შეუძლებელია.

დაატყვევეს აგრეთვე ყოფილი სამხედრო მინისტრი სპარტის დეპუტატი ჯემალ-ფაშა, სენატორი მაჰმად ფაშა [illegible], ყოფილი თავმჯდომარე მთავარ გენერალურ შტაბისა ჯევად-ფაშა; სტამბოლის ერთგული ყრილობის თავმჯდომარე ესად-ფაშა, ყოფილი უფროსი, ვეხიბ-ფაშას შემდეგ, მესამე არმიისა, რომელიც კავკასიის ფრონტზე მოქმედებდა უკანასკნელ ომში; ანდრიანოპოლის დეპუტატები: შერეფ ბეი; სტამბოლის დეპუტატი ნუმან-ეფენდი, სტამბოლის დეპუტატი პოლკოვნიკი შეფქეტ-ბეი. დაპატიმრება გრძელდება.

სტამბოლიდან ანატოლიაში მიმავალი პასპორტებს აძლევენ მხოლოდ ინგლისელები.

სტამბოლის დაჭერას როგორც სტამბოლელი თურქები, ისე სტამბოლის მიდამოების მცხოვრებნი გულისწყრომით შეხვდნენ. სტამბოლის დიდ ქუჩებში, სახლების სახურავზე და ხიდებზე ინგლისელებს უდგათ ტყვიისმფრქვევლები და სხვა და სხვა პუნქტები შეკრეს ჯარისკაცებით. ბოსფორში მდგომ სამხედრო გემებმა თავისი ზარბაზნები სტამბოლისაკენ მოაბრუნეს. („სამუსლ. საქართ.“)

დახმარება მიწისძვრისაგან დაზარალებულთ

ბორჩალოს მაზრის ერობის გამგეობამ შეაგროვა მიწისძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ ეკატერინენფელდში: ყულაბებით 18,894 მან. 65 კ. ხელის მოწერით 18,120 მ., [illegible] პირველ დაწყებითი სასწავლებელში შეგროვდა 3,513 მან. 50 კ., ბოლ-ხასკარაიდან შემოვიდა 16 858 მ. კერძო პირებმა შემოსწირეს 3,291 მ. შემოწირული კართოფილი გაიყიდა 12,313 მ. ლოტერეა გაიყიდა 28,900 მ., სულ შეგროვდა 101,895 მ. 15 კ. სანოვაგე შემოსწირეს: სიმინდი 14 ფუთი და 19 გირ. ფეტვი 15 ფ. 35 გ., ქერი 7 ფ. 38 გ. ფქვილი 1 ფ. 5 გირ., შვრია 1 ფ., ხორბალი 7 ფ. 32 გირ., სოფელ ბოლნის კაპანაკჩში 1,995 მ., სოფ. გოლდლოში 1,625 მ., სოფ. ხარაჩალოში 3,866 მან., სოფ. ჯაფარლოში 880 მ., სოფ. ხოჯორნიში თათრებში და ბერძნებში შეგროვდა 1000 მ., სოფ. არუხლოში 4,515 მან., ბოლნის ხაჩინში შეგროვდა 821 მ., ფარხალოში 1280 მ. სულ 117,897 მ.

— ს. კეშში და ცოხ-ჯიხაიში მიწისძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ დღემდე შეგროვდა 49 ფუთი სიმინდი, 12 გირ. ლობიო და ფულათ კი 13 662 მ., რაც საოლქო გამგეობამ გადაუგზავნა ქუთაისის სამაზრო ერობას დანიშნულებისამებრ გადასაგზავნათ.

— გორის დამხმარე [illegible] და მისი მაზრის ცენტრალური კომიტეტის მიერ გორის მაზრაში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოთ მიღებულია: ილიკო სავერდულიძისაგან 200 მ., ივანე ბარკალაიასაგან 100 მ., გაბრიელ კოვერძისაგან 400 მ, ამირან ჭიქაშვილისაგან 500 მ., ვანო მექოშვილისაგან 500 მ., ნაზო ლევიდოვისაგან 300 მ., სპირიდონ ნამგალაძესაგან 200 მ., იდრია ოზიაძისაგან 200 მ., ახალი მათიკოვისაგან 200 მ., გიორგი მათიკოვისაგან 500 მ., გიორგი ჩხეიძე-ნაშვილისაგან 400 მ., სერგეი ხახანოვისაგან 500 მ., გრიგოლ ახალქალაქელოვისაგან 300 მ., ალექსანდრე სანტრაიანცისაგან 200 მ., სარქის ოსკანოვისაგან 500 მ., არამეილ ბაღდასარიანცისაგან 500 მ., გარასიმე მიქელიანცისაგან 250 მ., გიორგი ნანეიშვილისაგან 500 მ., თელავის სომეხთა გიმნაზიისაგან 3820 მ., თელავის ვაჟთა გიმნაზიის მასწავლებელთა კოოპერაციისაგან 2920 მ., ვასილ პაპაიშვილისაგან 200 მ., ლევან ჯაფარიძე-შვილისაგან 1000 მ., ნოე რამიშვილისაგან 100 მ., სერგო ლომჯარიასაგან 100 მ., მაგრამ ქუმბურიძისაგან 100 ალექსანდრე ზიარაძისაგან 100 მ., კოტე სვანიძე-შვილისაგან 100 მ., კოოპერატივი „26 მაისისაგან“ საქონელზე დადებულ %-ბის შემოსავალი 1500 მ., ახალი თეატრის გამგეობისაგან 28 თებერვალს გამართულ წარმოდგენიდან 3965 მ., თელავის ქალთა დაწყებითი სკოლის მასწავლებელთა და მოწაფეთა შორის შეგროვდა 1361 მ., გიორგი [illegible] 100 მ., ნიკო აბზიანიძე-შვილისაგან 2000 მ., გიგო ლაზარაშვილისაგან სოფელ კურდღელაურში შეგროვილი 1560 მ., გიორგი ივანენაშვილისაგან 500 მ., ანგელ ოჯაშვილისაგან 300 მ., ვლადიმერ ზაუტაშვილისაგან 200 მ., თელავის ვაჟთა გიმნაზიის მოწაფეთა შორის შეგროვილი 4257 მ., 3 მარტს გამართულ ახალ თეატრში შემოსავალი 2715 მ., გრიგოლ [illegible] 100 მ., შაქრო ლეკიშვილისაგან 200 მ., [illegible] რუსიშვილისაგან 200 მ., [illegible] ვაძისაგან 20 წყ. ჩუსტი, თელავის ქალთა გიმნაზიის მასწავლებელთა და მოწაფეთა შორის შეგროვილი 11148 მ., გიგო ლაზარაშვილისაგან შილდაურში შეგროვილი 691 მ., [illegible] სკოლის მასწავლებელთა და მოწაფეთა შორის შეგროვილი 1725 მ., [illegible] ბოძაშვილისაგან—ერთი ტილო, ერთი [illegible], ერთი [illegible] ხალათი მაქმანიანი, ერთი წყვილი ბაწრის წინდები, ერთი წყვილი ბაწრის ხელთათმანი, ერთი თავსაბურავი, ერთი ფართუკი, გიგო ლაზარაშვილისაგან კურდღელაურში და შილდაურში შეგროვილი: ლობიო 7 ფ. 17 გირ. სიმინდი 21 ფ. 32 გ. ქერი 5 ფ. 6 გ. ხორბალი 11 ფ. 35 გ. ბამბა, ნიორი, კარტოფილი 2 ფ. სოფელ [illegible] შეგროვილი ნაკო [illegible] მიერ: სიმინდი 3 ფ. 9 გ. ხორბალი 4 ფ. 8 გ., ქერი 4 ფ., ლობიო 1 ფ. 38 გ.

თავმჯდომარის ამხანაგი გრიგოლ ბურჭულაძე.

მთავრობის ვაჭარ-მრეწველთა კომიტეტმა გორის ფონდისათვის მიიღო: ქართული კლუბისაგან 284.000 მან., თამბ. ფაბრ. ძმ. ბოზარჯიანცებისა 50.000 მან., მ. საფაროვის ფაბრიკის პატრონისაგან—გ. ბიჭიჩოვისაგან 50 000 მ., ამხ. „არგო“ სგან 20.000 მან., თამბ. ფაბრ. „ლომინსგან“ 10 000 მან., მექარხნეთა და მრეწველთა საზოგადოების მოსამსახურეთაგან 5354 მან., ი. ბალიაშვილისაგან 1000 მან., ძმ. პირველოვებისაგან 2000 მან., სულ 422 654 მან., წინათ შემოსულთან ერთად სულ 2.227.655 მანეთი 20 კაპ.

— ამას წინათ გაზეთებში იყო გამოქვეყნებული და ბაღიშიც ასეთივე ხმები გავრცელებული, რომ ამერიკიდან ჩამოსულმა ვინმე ამაშიძემ შეწირა მიწის ძვრისაგან დაზარალებულებს რამოდენიმე მილიონი მანეთი, შემოწირულებებს დეპუტატს მთავარი ბაზრით, რომელსაც ჯერ ამაშიძისაგან არავითარი შემოწირულება არ მიუღია.

კულტურული მუშაობა ჯარსა და გვარდიაში

მესხეთ ჯავახეთი. 5 მარტს შესდგა მესხეთ-ჯავახეთის სახალხო გვარდიის საოლქო შტაბის კულტ. განმ. განყოფილების პირველი სხდომა. კრებას დაესწრო მთავარი შტაბის წევრი და კულტურულ განმანათლებელი განყოფილების საქმის მთავარი ხელმძღვანელი ან. სადუქაძე. მან განუმარტა სხდომას, თუ რანაირი მუშაობა უნდა აწარმოოს ადგილობრივმა სექციამ. მომხსენებელი ასახელებს ყველა სექციებს. სალიტერატურო, სასკოლო, სათეატრო, საელექტრო, ფინანსიური კომისია და სხვა, აღნიშნავს მათ ფუნქციებს და მიაწოდა სხდომას ის დაწყებითი გეგმა, რომელიც უნდა განატაროს ცხოვრებაში ადგილობრივმა განყოფილებამ. მან განაცხადა: ჯერ ჯერობით უნდა ჩამოყალიბდეს საკუთარი ორგანიზაცია, შემდეგ დაარსდეს სკოლა, ბიბლიოთეკა, სამკითხველო, დამოქლის კი, როდესაც განყოფილება მოღონიერდება, გვარდიის კლუბის გახსნაც აუცილებელია. კულტ. განმ. განყოფილების თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ადიუტანტი ივანე გოგნიძე, მდივნათ რწმუნებული ნიკო ინასარიძე, მოლარეთ გვარდიელი ხუციშვილი.

თელავიდან 13 მარტის საგანგებო ბათალიონის საერთო კრებაზე დადგენილ იქნა, რომ ბათალიონის ერთიგერთი დამხმარე და შემნახველ-გამსესხებელი კასაში გადაიდოს მარტიდან 100 მან. თვითეულ გვარდიელის ჯამაგირიდან. რაც ერთხმად მიღებულ იქნა კრების მიერ. კასის გამგეობის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ კასა, რომელიც ორი თვეა რაც დაარსდა დიდ დახმარებას უწევს ამხანაგებს გაჭირვების დროს. როცა რომელიმე წევრი კასისა (ყველა გვარდიელი წევრია) გარდაიცვლება ან მას სხვა რაიმე უბედურება დაატყდება თავს, მაშინ კასა ეხმარება როგორც სესხით, ისე ერთდროულათ. მაგ. კასა დაეხმარა ერთ გარდაცვლილი გვარდიელის მშობლებს ხუთი ათასი მანეთით და ერთ დაავადმყოფებულ გვარ.—დ. რატიანს ხუთი ათასი მან., რომელსაც არ ქონდა არავითარი სახსრები სიღარიბით.

— ბავ. ბათ—ნის და ხაინგ. გუნდის კულტ. გან. სექციის [illegible]. სხდომა იმართება ორშაბათობით. X

---

22 მარტს ადგილობრივმა თეატრი „სახალხო გვარდიელის“ დარბაზში შინაური ძალებით გაიმართა წარმოდგენა. დადგმულ იქნა „შენი ჭირიმე“ და „უბედური დღე“ [illegible] მუსიკა. ხალხი ბლომად დაესწრო. დეკორაციების უქონლობა ძლიერ აფერხებს შინაარსიან პიესების დადგმას სხვებს. მოკლე ხანში ჩვენში ჩვენს თეატრს ექნება საკუთარი დეკორაციები,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომლის დახატვა უკვე დაიწყო არტის. სახ. თეატრის დეკორატორმა.

— 24 მარტს თეატრის დარბაზში გაიმართა ლექცია დამფ. კრების წევრის ამხ. გ. გიორგაძის. მან განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ბათუმის და ბალშევიკური საფრთხის საკითხებს. გვარდიელები დიდი ყურადღებით უსმენდენ ლექტორს, რომელმაც შესაფერისად გაშუქა თანამედროვე ცხოვრების ეს ორი მწვავე კითხვა. ლექციის შემდეგ იყო შეკითხვები, რაზედაც მომხსენებელმა შესაფერი პასუხი გასცა.

გურიის სახალხო შტაბთან არსებულ კულტურულ განმანათლებელი განყოფილება უკვე შეუდგა მუშაობას. მოაწყო ადგილობრივ ჯარისკაცთა და გვარდიელთათვის კლუბი. ამ მიზნისათვის გურიის სახალხო შტაბის კულტურულ-განყოფილებამ იშუამდგომლა მთავარ შტაბის კულტურულ განმანათლებელ განყოფილების წინაშე კულტურულ მუშაობისათვის ავანსის სახით 60 000 მან. მიცემის შესახებ. მთავარმა შტაბმა კულტურულ განყოფილების დროებითი გამგის გ. სირბილაძის მოხსენების თანახმად მისცა ფულად 40,000 მან. და 20 000 მანეთში კი,—50 ჯარისკაცთა პალტო,—სულ 60.000 მან.

მანგლისის უბნის შტაბის შუამდგომლობის თანახმად კულტურულ-განმანათლებელმა განყოფილებამ მისცა ხსენებულ შტაბს ავანსის სახით 2.000 მან. შტაბთანვე არსებულ სამკითხველოსათვის გაზეთების გამოსაწერათ.

ვერის რაიონის გვარდია. თანახმად სახ. გვარდიის ვერის უბნის შტაბთან არსებულ კულტურულ განმანათლებელ სექციის შუამდგომლობისა, მთავარ შტაბის კულტურულ განმანათლებელმა განყოფილებამ დაადგინა: მანამდის მუშათა კლუბი ვერის რაიონისა მოაწყობდეს საერთო სამკითხველოს, რომლის სარგებლობის საშუალებაც ექნება მეოთხე უბნის შტაბის გვარდიელებსაც, გამოწერის აღნიშნულ სექციას 4 გაზეთი „ერთობა", „ბორბა", „სახალხო საქმე", და „ეშმაკის მათრახი" განყოფილების ხარჯზე. გაზეთები უკვე იგზავნება ვერის უბნის შტაბს კანტორა „განათლების" საშუალებით.

ს.-დ. პარტიაში

ბორჯომი. 11 მარტს შესდგა ბორჯომის რაიონის ს. დ. მ. პარტიის კომიტეტის და სხვა ორგანიზაციების შეერთებული კრება. ამხ. ქ. შახნაზაროვის თავმჯდომარეობით. განსახილველი იყო შემდეგი კითხვები: 1) მოხსენება ადგილებიდან, 2) გვარდიის შტაბის თავმჯდომარის, 3) ხმალაძის გადასვლა ახალციხის გვარდიის შტაბში, 4) პროპაგანდისტთა კოლეგიის დაარსება, 5) ხაშურში დახოცილი ამხანაგების ძეგლის აგების კომიტეტის მოწყობის შესახებ, 6) მიმდინარე საკითხები და სხვა განცხადებები.

ამხ. ქ. შახნაზაროვი ვრცლად ეხება საერთოთ, როგორც პარტიულ მუშაობას რაიონში, ისე ხალხის გაჭირვებას სურსათის მხრივ, მდგომარეობა, ამბობს ის, რაიონში სურსათის მხრივ მეტად ცუდია, რითაც სარგებლობენ ყველა ჯურის პროვოკატორები, მთავრობის და ერობის წინააღმდეგ. აგრეთვე აღნიშნა, რომ თანახმად 12 თებერვლის კომიტეტის დადგენილებისა, დაარსდა წაღვერში და ბაკურიანში ქვე-კოლექტივები.

კრებამ მოისმინა რა მოხსენება, დაადგინა სასურველათ ცნობილ იქნას ბორჯომის ერობის მიერ გადადგმული ნაბიჯები სამი პირის [illegible], რომლებიც პროვოკაციის მიზნით ამხედრებდნენ ხალხს მთავრობის და ერობის საწინააღმდეგოთ, რაც შეეხება 8 თებერვლის ერობის ხმოსანთა ყრილობის დადგენილება მოწონებულ იქნას, რომელიც გამოიხატება შემდეგში: თანხა 5 პროცენტი, რომელიც გროვდება მამულის სამმართველოში, ხის მუშების ნამუშავრიდან, ეძლევა ერობის გამგეობას.

სურსათის შესახებ კრებამ დაადგინა: შესდგეს სამი კაციანი კ-ნ, ქალაქის თვითმართველობიდან ერობიდან და მამულის სამმართველოდან, რომლებიც შეერთებული ძალით იმოქმედებს. და შეეცდება შეუმსუბუქოს ხალხს გაჭირვებული მდგომარეობა.

ამხ. ვ. მაჭავარიანის მოხსენების შესახებ კრებამ დაადგინა, რადგანაც მუშათა უბანში ადგილი აქვს უფულობას, ეთხოვოს ქალაქის თვითმართველობას და მამულის სამმართველოს, რომ მათ მიიღონ ყოველივე ზომები ამ უსულგულობის წინააღმდეგ. შტაბის თავმჯდომარის შესახებ დადგენილ იქნა: რადგანაც ეს საკითხი ფრიად რთულია. კრებას შეუძლებლათ მიაჩნია უცბათ კანდიდატის დასახელება, მიენდოს—პრეზიდიუმს შესაფერი კანდიდატის გამონახვა. პროპაგანდისტთა კოლეგიის დაარსების შესახებ კრებამ დაადგინა მიენდოს ამხ. ქ. შახნაზაროვს, პროპაგანდისტთა კოლეგიის დაარსება და მათი ხელმძღვანელობა. ხაშურის ძმათა სასაფლაოზე ძეგლის ასაგებ კომიტეტის მოწყობის შესახებ, კომიტეტმა დაადგინა ამოირჩიონ სამი კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც დაევალოს გამართონ წარმოდგენა, რომლის შემოსავლის ნაწილიც მიეცეს ამ ძეგლის ამგებ კომიტეტს და ნაწილი კი კომიტეტს დარჩეს.

ე. ზირაძის განცხადების შესახებ კრებამ დაადგინა დაევალოს შრომის სამინისტროს რწმუნებულს და ბორჯომის მამულის სამმართველოს, მიექცეს განსაკუთრებული ყურადღება ქარხნებში მცირე წლოვანთა შრომის აკრძალვას.

ქ. დიხაბაძე.

თელავი. სამი თვეა, რაც თელავის ს.-დ. კომიტეტის კრება არ შემდგარა. სოფლებში ორგანიზაციები ეწყობა, მაგრამ ხელმძღვანელი კომიტეტი არ ჰყავთ. დაუცილებელი საჭიროა სამაზრო კომიტეტის დაარსება, რომელიც გაუწევს ხელმძღვანელობას ყველა სოფლების ს. დ. ორგანიზაციებს. მაგრამ არ იქნა და ვერ მოხერხდა სამაზრო კომიტეტის არჩევნები. ერთხელ მოიწვევს ყველა რაიონების რწმუნებულები, რომ აერჩიათ კომიტეტი, მაგრამ ვერ მოხდა. სოფლის ორგანიზაციები დაჟინებით მოითხოვენ იყოს მოწვეული რაც შეიძლება მალე სამაზრო კომიტეტის კრება არჩევნების მოსახდენათ. როგორც იყო შესდგა თელავის კომიტეტის კრება და დაადგინე: მოეწყოს სამაზრო კომიტეტის არჩევნები. იმედია ამხანაგები ენერგიულად მოეკიდებიან საქმეს და შეეცდებიან მტკიცე ორგანიზაციის შექმნას.

იგრისპირელი.

მუშათა შორის

თფილისი. საქართველოს სახაზინო რკინის გზის მუშა მოსამსახურეთა დელეგატების მეორე ყრილობამ, 31 ოქტომბერის 1919 წ. დილის სხდომაზე გამოტანილი დადგენილებით, დაავალა ცენტრალურ გამგეობას განსაკუთრებით ყურადღება მიაქციოს იმ შეუსაბამო განრიგებას, რომ კანტორის მოხელენი იქნენ კატეგორიის გარეშე დატოვებულნი, რის გამოც მათზედ არ გავრცელებულა უკანასკნელი აგვისტოს 1919 წ. 25 პროცენტიანი მომატება, პირიქით, ზოგიერთ შემთხვევაში ჯამაგირის შემცირებაც კი გამოიწვია. გამგეობამ უნდა იზრუნოს, რომ ასეთ პირებს დანაკლისი აუნაზღაურდეს. მაგრამ აგერ ხუთი თვე გავიდა და არამც თუ დანაკლისის ანაზღაურება, არამედ—კატეგორიების აღდგენასაც ვერ ეღირსეთ, რის გამოც თითეული კანტორის მოხელე ყოველ თვეურათ ჰკარგავს 250—320 მანეთამდე. პირველად ამის შესახებ ხმა ამოიღეს დეპოს და მთავარ სახელოსნოების კანტორის მოხელეებმა და თავის შეერთებულ კრებაზე გამოიტანეს დადგენილება: ნოაგენოს ცენტრალურ გამგეობას იქნეს მოყვანილი სისრულეში ყრილობის დადგენილება, რაც რაიონული გამგეობის დასტურით გადაეცა ცენტრს, მაგრამ გავიდა ერთი თვე და „რკინის გზელში" № 9 ვკითხულობთ: დელეგატების პრეზიდიუმს ამ საკითხის მოგვარების შესახებ მოელაპარაკა შრომის სამინისტროს. ჩვენ გვესმის, რომ მოლაპარაკება საჭიროა, მაგრამ მოლაპარაკება და საქმის დაბოლოება უნდა მოხდეს დაჩქარებით და არ გრძელდებოდეს მთელი თვეობით, ვინაიდან როგორც ვთქვით ისედაც გაძვირებულ კანტორის მოხელისათვის ყოველი თვის დაგვიანება მოაქვს 250—320 მანეთამდე ზარალი. მოხელე ხიდოვანი.

ბორჯომი. შრომის მინისტრის მოწოდების გამო გორის მაზრაში დ ზარალებულთა დახმარების შესახებ, 26 თებერვალს შესდგა ბორჯომის მამულში მოსამსახურეთა კავშირის გამგეობის სხდომა. დღის წეს-რიგში იყო: 1) გორის მ ზრაში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთათვის დახმარების აღმოჩენა, 2) ერთი წარმომადგენლის ყოლა დელეგატთა დამხმარე ადგილობრივ კომიტეტში და 3) დელეგატთა ყრილობის მოწვევა. გამოტანილ იქნა შემდეგი დადგენილება: ქართლში მიწისძვრისაგან დაზარალებულთ სასწრაფო დასახმარებლად გადაეგზავნოს ადგილობრივ კომიტეტს კავშირის თანხიდან ორი ათასი მანეთი, დასახელებულ იქნა გამგეობის ერთი წევრთაგანი ადგილობრივ დამხმარე კომიტეტში და მოწვეულ იქნა დელეგატთა ყრილობა ოცდა ცხრა თებერვლისათვის.

29 თებერვალს რადგან საკმაო რიცხვი დელეგატებისა ვერ გამოცხადდნენ შორეულ რაიონებიდან, კრება გადაიდო ოთხი მარტისათვის.

მიწის ძვრისაგან გამოწვეულ უბედურებაზე მოხსენებას აკეთებს კრების თავმჯდომარე ქ. ტაბაღუა. კრებამ ერთხმად დაადგინა: ჯგუფურობით ერთ დღიურათ გადადებულ იქნას დაზარალებულთათვის ერთი დღის ხელფასი ყველა მოსამსახურეებისა მარტის ჯამაგირებიდან, მომავალში კი, საჭიროების და მდგომარეობის მიხედვით ვიზრუნებთ.

კადუ.

პროვინცია

ს. ვეჯინი. ეს სოფელი ძლიერ მივიწყებულია, თუმცა კარგა მოზრდილი სოფელია—700 კომლ მცხოვრებით. ვეჯინი გურჯაანის სათემოში შედის, რომლის მესვეურნიც ნაკლებათ ფიქრობენ მასზე. სოფელს არა აქვთ ხეირიანი გზები, არ აქვს სკოლა; სკოლის ის შენობა, რომლის შეკეთებაც დიდი ხანია საჭირო იყო, იქამდის მიიყვანეს სოფლისა და თემის პატრონებმა, რომ დაინგრა. ვეჯინში სხვა საჭირბოროტო კითხვებიც ბევრია, რომლის აქ ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს და რომელთაც ყურადღება უნდა მიაქციოს გურჯაანის თემმა და ვეჯინის მესვეურებმა. ვეჯინში არის კულტურული დაწესებულებები შემდ. გამს. ამხ., მომხ- სახოგ. (კოოპერატივი) არის სკოლა და სამკითხველოც. თითქო საკმარისია ეს დაწესებულებანი, რომ ვეჯინიც გვერდში ამოუდგეს სხვა მოწინავე სოფლებს, მაგრამ, სამწუხაროთ, საქმე ასე არ გახლავთ. ვეჯინს არ ჰყავს გულ შემატკივარი ინტელიგენცია სოფელი მიტოვებულია რამდენიმე პირის ანაბარა, რომლებიც მითომ და იწევიან სოფლის პატრიოტობას, მაგრამ როცა ახლო გაეცნობით სოფლის ნამდვილ მდგომარეობას და გაეცნობით მასში მომუშავეებს, სხვა სურათი გადაიშლება თქვენს წინაშე. ის ორიოდე პირი რომლებიც უდგანან სათავეში სოფლის დაწესებულებებს და ამ საქმით დაინტერესებულნი არ აღმოჩნდებიან, ისინი ნაკლებათ ფიქრობენ სოფლის წინსვლაზე. სოფელს კი არ ყავს ნამდვილი გულშემატკივარი, გზის მაჩვენებელი და არის უპატრონოთ დარჩენილი.

ვეჯინელი.

დ ახალ ქალაქი. 13 მარტს ადგილობრივ სახაზინო თეატრის დარბაზში გაიმართა წარმოდგენა თუმცა ცუდი ამინდი იყო, მაგრამ ხალხი ბლომათ დაესწრო შემოსავალი, 8000 მანეთამდე გადაეცა მიწისძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ.

1906—7 წ. აქ არსებობდა თეატრალური წრე, რომელსაც მოთხოვნილება დიდი, ფული არ არის, ყურადღებას არ აქცევს. წერილში და სხვა ჟურნალ-გაზეთები მთელი თვეობით ყრია სადგურში კარგი იქნება, თუ ადგილობრივი ერობა გამგეობა ყურადღებას მიაქცევს ამ მოვლენას.

აქ არსებობს სცენის მოყვარეთა წრე სახოგადოებას აქვს საკუთარი კლუბი სადაც იმართება წარმოდგენები მაგრამ საუბედუროთ, ხან ვინ არის ამ წრეში და ხან ვინ. რეჟისორად მოწვეულია დ გულიაშვილი, რომელიც პატიოსნად ასრულებს თავის მოვალეობას. ხალხმა შეიყვარა თეატრი და ყოველთვის ბლომად ესწრება წარმოდგენას.

გრ. გ—ლი.

კოხნარა (გურია). ეს სოფელი მდებარეობს დაახლოვებით ცხრა ვერსის მანძილზე სადგურ საჯავახოდან. ამ სოფლის მასაზღვრებელ კუთხეთ ითვლება ანჯელი, ჯუმათი ბუდნარა და სხვა ახლო მდებარე სოფლები, მაგრამ „საყურმის" გზის გაფუჭების შემდეგ ხალხი დიდ დაბრკოლებას განიცდის. ეხლა, როგორც გავიგეთ მთავრობას უკვე მიუქცევია ამ გზისთვის ყურადღება და სათანადო განკარგულებაც გაუცია, რაც დიდ სიხარულს იწვევს ხალხში. მართალია ხალხი ნივთიერად დიდ გაჭირვებას განიცდის, მაგრამ ძლიერია სულიერათ. მიუხედავათ მრავალნაირი გაჭირვებისა არავითარ ექსცესს, უკანონო გამოსვლებს აქ ადგილი არ ჰქონია. არსებობს ორი კლასიანი სასწავლებელი, არის კოოპერატივი, სამკითხველო, მუდმივი სცენის მოყვარეთა წრე, არის საექიმო დახმარება ექიმის თანაშეწის სახით, არის ტელეფონი, მალე იქნება გამოყვანილი ტელეგრაფიც. დიდი მუშაობაა საჭირო სასწავლებლის აშენებისათვის. რაც შეეხება სასწავლებელს, აქ მოწაფეთა რიცხვი მრავალია და სწავლაც შესაფერ ნიადაგზე სდგას. კოოპერატივზე არ ითქმის, რომ ის დიდ დახმარებას უწევდეს ხალხს, მაგრამ ვერც დიდით ვუსაყვედურებთ. სამკითხველო საჭიროა ახალმა გამგეობამ სასტიკი კონტროლი გაუწიოს ძველი გამგეობა მოქმედებას და ნათლად დაანახონ ხალხს ყოველივე. ხალხმა გადაიწყვიტა სამეურნეო სასწავლებლის აგება. ამათ ჩვენი იყო ყ. ერისთავის სახელი. ეს ადგილი მეტად შემკული დიდებულებულია ბუნებით. ხალხიც ამიტომ თავგამოდებით მეცადინეობდა, ეს ადგილი როგორც ყველა კერძო მოვაჭრე უფრო კანონიერი პატრონს მას დაუჩენოდა. მაგრამ, საუბედუროთ, ეს ადგილი დღესაც კერძო პირის ხელშია, რაც დიდ აღშფოთებას იწვევს ხალხში.

შარშან ივლისში დაარსებულ იქნა მუდმივი სცენის მოყვარეთა წრე. არჩეულ იქნა გამგეობა. გამგეობამ საჭიროთ დაინახა სახალხო სახლის სამკითხველოს ჩაყრა, რისთვისაც გასულ წელს დაიდგა რამდენიმე წარმოდგენა, რომლის შემოსავალი დროებით გასესხებულია. ამავე დროს გამართულ იქნა წარმოდგენა. ტოლებში, მურნათში, წილნარში დაიბეჭდა და გაიგზავნა სხვადასხვა ადრა-ქალაქებშიაც მოწოდება. ხალხმა შეიძინა ერისთვის მიწა, რამდენიმე დესიატინა, რომელიც უკვე დანიშნულია ცენტრათ და სადაც ამ მოკლე ხანში გადატანილი იქნება სხვადასხვა დაწესებულებანი.

ავრატინა კუშიტავა.

წერ. რედაქციის მიმართ

ბ. ერ. რამიშვილს.

რადგანაც მე საბჭომ არ მომცა უფლება კერძოთ გიპასუხოთ თქვენს ღია წერილზე, მგონი დაკმაყოფილდებით საბჭოს ოქმით, რომელიც იგზავნება გაზ. „ერთობაში". მე უნდა მოგახსენოთ, რომ პირადათ თქვენ სრულებით არ გიცნობთ და არც შემიძლია „ხეპირ ბრალდებების წამოსროლა", ისიც ცენტრალ. საბჭოს სხდომაზედ. მე ხელთ მქონდა აფიციალური ოქმები, რომელიც სისტემატიურად იგზავნება საბჭოს კანცელიარიაში. ამასთანავე უნდა აღგნიშნოთ, რომ მე ძლიერ მწყინდა, როდესაც იღეურ ამხანაგზედ მოვიდოდა ასეთი ოქმები და თუ მოხსენება გავაკეთე სახელმწიფო მამულების გამგეთა და მუშების დამოკიდებულებაზედ, ეს იყო დავალება საბჭოსი, რომელიც ემყარებოდა ფაქტებზედ.

პატივისცემით ვ მამალაძე.

პასუხად წინანდლის სახელმწიფო მამულის გამგეს ბ. ერ. რამიშვილს მის ღია წერილზედ, მიმართულს თელავის მაზრის პროფ. კავშირების საბჭოს ამხ. კომიტეტის თავმჯდომარე ვ. მამალაძისადმი. (იხ. „ერთობა" № 56).

თელავის მაზრის პროფ. კავშირების საბჭოს არა ჩვეულებრივ სხდომაზედ ა. წ. 12 მარტს წაკითხულ იქნა მოხსენებული ღია წერილი, რის შესახებ საბჭომ გამოიტანა შემდეგი დადგენილება: 1) ვ. მამალაძე, როგორც რწმუნებული საბჭოსი თელავის მაზრიდან გაგზავნილი თფილისში საქ. პროფ. კავშირ. ცენტრალ. საბჭოს სხდომაზე 2 დეკემბერს თავის მოხსენებაში, რომელიც მოთავსებულია „მუშათა ცხოვრების" № 2-ში, სრულიად ობიექტიურია და ამ მოხსენებას საფუძვლად იხმარებს საბჭო, რომელსაც აქვს სახელმწიფო მამულებისაგან გამოგზავნილი საზოგადო კრებების ოქმები, რომელზედაც ყურადღობდა ვ. მამალაძე თავის მოხსენების დროს. 2) აღნიშნული ბრალდებები ვ მამალაძის მოხსენებაში ეხება მუკუზნის მამულის გამგე თუშმალოვს და წინანდლისა ერ. რამიშვილს. გარდა ნაფარეულის მამულის გამგის კრუპენნიკოვისა, რომლისაც მუშები კმაყოფილნი არიან. 3) წინანდლის მამულის გამგე ერ. რამიშვილს არ ეკუთვნის შემდეგი ადგილი მოხსენებისა: „გამგეები ხშირათ ძველი ბიუროკრატები არიან", რადგანაც ბ. ერ. რამიშვილი ძველი რეჟიმის დროს შეიძლება ძველ ბიუროკრატიას კიდეც ებრძოდა. 4) „კონკრეტიული ფაქტები" ბ. ერ. რამიშვილის ანტი-დემოკრატიული პოლიტიკისა შემდეგია: 1) მოწინავე მუშათა დევნა, 2) კრებების თავისუფლების შეზღუდვა, რისთვისაც მუშები დაითხოვნეს შიშით ვერ კისრულობენ თავმჯდომარეობის და მდივნის მოვალეობათა შესრულებას. 5) სამი თვის არსებობის დროს საბჭოს არა ერთხელ მოუსმენია მუშათა დელეგაციისაგან საყვედური ორ მოხსენებულ გამგეთა წინააღმდეგ, მოაქვთ საზოგადო კრებების ოქმები, სადაც გადაჭრით აცხადებენ, რომ ასეთ პირობებში მათ მუშაობა არ ძალუძთ, რისთვისაც საბჭო იძულებული იქნა მიემართა თელავის მაზრის ოფიციალურ პირთათვის: 1) შრომის მინისტ. რწმუნებულს ო. ჩანგაშვილისათვის, 2) დამფუძნებელი კრების წევრ ს. მაჭავარიანისათვის, რომ გაემგზავრონ სახელმწიფო მამულებში საქმის გამოსარკვევად. 6) როგორც საბჭოსთვის გაიგო, მუშებს 9 მარტს გამოეგზავნათ დელეგატი თელავის მაზრის ს. დ. ორგანიზაციაში აღნიშნულ გამგეთა წინააღმდეგ ბრალდებების წამოსაყენებლად და კომიტეტს გამოუტანია დადგენილება: დაუყონებლივ გაიგზავნოს კომისია ყველა სახელმწიფო მამულებში კონფლიქტების გამოსარკვევად, რადგანაც იმ ატმოსფეროში, რომელიც შექმნილია სახელმწიფო მამულებში, ყოვლად შეუძლებელია ნაყოფიერი მუშაობა, რაც ზიანს აყენებს სახელმწიფოს ეკონომიურ მდგომარეობას. კომისიაში შედიან: 1) შრომის მინისტრის რწმუნებული ი. ჩანგაშვილი, 2) დამფუძნებელი კრების წევრი ს. მაჭავარიანი, 3) პროფ. კავშირების წარმომადგენელი ვარლამ ფერაძე, 4) ადგილობრივი ს. დ. კომიტეტის წარმომადგენელი ნ. რამიშვილი. აღნიშნულ კომისიას დაევალა სასწრაფოდ გამოიძიონ საქმე ყველა მამულებში და მოახსენონ შედეგებზე, სადაც ჯერ არს.

თელავის მაზრის პროფ. კავშირების საბჭოს თავმჯდომარე ვ. ფერაძე.

წევრნი (ხელს აწერს 10 კაცი).

ფოსტა

ზესტაფონი. ამვროსი ემანიძეს. თქვენი წერილი ცენტრალურ კომიტეტს არ მიუღია.

განცხადებანი

სამართებლები „ჟილეტის"
ნამდვილი ამერიკული სასწრაფოთ **იყიდება**
შეღავათიან ფასებში ბითუმად და ცალობით **ა. ზაზიხის**
ინგლისურ მაღაზიაში
რუსთაველის პრ. № 20, სახაზინო თეატრის პირდაპირ. (1003 6—5)

სახლი
იყიდება ქ. თელავში მესამე ნაწილის ქ. № 28, პირობების გაგებების გაგება შეიძლება ქ. თელავში მიხეკო ოგანეზოვთან ქ. თფილისში სახლის პატრონთან, იზმაილოვის ქ. № 12. (1—1)

თვალის ექიმი
ზ. მ. ცხვედაძე
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 4 ს. —6 ს. იზმაილოვის ქუჩა № 11. მოსკოვის ქუჩიდან პირველი შესახვევი. (1109 1—1)

ექიმი
ნ. დ. ცერიაშვილი
იღებს შინაგან, საბავშვო და ქალთა სნეულებით ავადმყოფებს მუდამ დღე შუადღის 1—2 ს. და საღ. 4—5 ს. ნიკოლოზის ქუჩა, № 7, ვორონცოვის ძეგლის ახლოს. ტელ. 14—18. 119—თ.)

ექიმი **ა. ლევენშტეინი**
შინაგ. და ნერვიული სნეულებანი. მკურნალობა და გამოკვლევა ყველა თანამედროვე საშუალებებით. სპეციალურად: გულის, ფილტვების, კუჭ-ნაწლავების, ქალების და ნერვიულ სისტემის. რენტგენისა და ელექტრო-სამკურნალო კაბინეტი. მიღება დილის 11—12 და საღამოს 4—7 საათ. კირილოვის ქ. № 5 ბინა 3. (471)

ექიმი
კ. ზ. მართანოვი
სპეციალურად კანისა და ვენერიული სნეულება (სიფილისი „606" და 914 შეშხაპუნება). მიღება: დილით 8—9 საათ. საღ. 5—7 საათ. სურამის ქ. № 8 ვაგზლის ქუჩის კუთხე, რკინის გზის სამმართველოს პირდაპირ. (თ. 546)

ნამდვილი ინგლისური
შაბიამანი
გაეგზავნება აწყდის მსურველს კანტორა „ხერვეტი" ქ. ბაქო მერკურიევის ქ. № 10; ტელეგრამის ადრესი: ბაქო „სერვეტი" ტელეფ. 43—35, 24—28 ფირმას ჰყავს თავისი წარმომადგენელი ქ. ბათუმში, მისამართი: ქ. ბათუმი, „ოტელ პალასი" ვაშალომიძე. (1097 3—1)

ექიმი
დამ. კონს. [illegible]
(ოზურგეთიდან)
იღებს ავადმყოფებს საღამოს 5—7 საათ. სასამართლოს ქუჩა № 52. (თ. 581)

ელექტრო მედიცინისა დოქ. ასისტენტი ბერლინის და მოსკოვის ქირურგიულ-[illegible] კლინიკების
ვ. შ. მეგრაბიანი
შინაგანი ავადმყოფობა, ქლექისა და გულისა. იღებს რენტგენის ელექტრო-წამლობის კაბინეტში. გასინჯვა და წამლობა X-ის სხივებით. ქლექის აპარატი—პნევმოტორაქსი. ყოველ დღე დილის 9—12 საათ. და საღ. 5—8 საათ. მებუღთაყის ქ. № 23, ტელეფ. 7—92. მიწის ძვრისაგან დაზარალებულებს ექიმობს უფასოთ. (თ. 636)

ექიმი ს. ბ. [illegible]
სპეციალურად სიფილისი და [illegible] (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული (ტრიპერი) და [illegible] სნეულებანი. ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. [illegible] მისამართი: [illegible] ქუჩა № 32.

ექიმი ა. დ. კეკელია
სპეციალურად: სიფილისი (შეშხაპუნება „606" და „914") ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფებს მიიღებს ყოველდღე დილით 9—11 და საღამოთი 4—6 საათამდე. მისამართი: მიხაილოვის პროსპექტი № 116, საავადმყოფო „ნოე"-ს პირდაპირ. ტელ. 14—28. (154—თ.)

კერძო სამკურნალო
ექ. ე. მ. მქინარიშვილისა
პლეხანოვის (მიხეილის) პროსპ. და კირიჩნ. ქუჩ. კუთხე № 22 ტელ. 10—87 მიიღება ყოველგვარ სნეულებიან ავადმყოფებისა დილის 8—8 საათამდე, ვენერიულით, სიფილისით და კანის სნეულებით დაავადმყოფებულნი მიიღებიან აგრეთვე საღამოთი 4—7 საათ. უსახსროებისთვის უფასოთ დილის 8—11 საათ.

იღებენ ექიმები
ი. ქ. ახაკურია—შინაგან ავადმყ.
დ. ვ. ჯავახიშვილი—შინაგანი და ბავშვების ავათმყ.
ა. ვ. მაღალაშვილი—შინაგ. ავათმყ. და მიკრო—ბიმ. ანალიზი.
ა. ვ. მაჭავარიანი—ქირურგ. ავათმყ.
ე. მ. მქინარიშვილი—ვენერიულ, სიფილისის და კანის ავადმყ.
ნ. ს. თრეშჩევსკი—ყურის, ყელის და ცხვირის სნეულ.
ზ. მ. ცხვედაძე—თვალის ავათმყ.
გ. ლ. შალამბერიძე—ქალის ავათმყ. და საბებიო.

სამკურნალოში სწარმოებს: კონსულტაცია, ოპერაცია, ელექტრიზაცია, მასაჟი, კანს ქვეშ შეშხაპუნება, ყვითელის ავადმყ, „606" და „914" შეშხაპუნება და აგრეთვე მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი (ნახველის, კუჭის წვენის, სისხლის. შარდის, განა-ვალის და სხვ. (თ. 009)

ექიმი ქალი
მ. მ. ალფეევი
წყნეთის ქუჩა № 26. იღებს ყოველდღე 1—2 საღამოს 6—7. სპეციალურად საბებიო ქალების ავათმყოფობა. და ვენერიული ავათმყოფობა.

ექიმი ლ. ბ. [illegible],
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებებით ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოს 6—8 საათამდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 37, [illegible] ახლოს.

მოქალაქეთა საყურადღებოთ

დ. ზ. სარაჯიშვილის
ქარხნის მუდმივ მუშტრების საყურადღებოდ
კონიაკი, სპირტი და არაყი
იყიდება ბითუმათ და ცალობით საქარხნო ფასებში ე. ი.
4 ვარს. კონიაკი 1/20 ვედ. 110 მ. 1/40 60 მ. უბოთლოთ.
O. C. კონიაკი 1/20 ვედ. 130 მ. 1/40 70 მ. უბოთლოთ.
არაყი ბოთლი 65 მან. უბოთლოთ. თითო ბოთლის გირაო ცალი 20 მანეთი.
გამოწერა შეიძლება არანაკლებ 3 ვედრისა ან 60 ბოთლის სხვადასხვა სასმელებისა. ყუთი თავის ჩალაგებით ღირს 150 მან. მსურველმა უნდა გამოგზავნოს პატენტი მაგარი სასმელებისა და შეკვეთილი სასმელების ფული შემდეგი მისამართით: თფილისი, თავისუფლების მოედანი, პას. ში თამამშევის სავაჭრო ნიკიფორე დავითის ძე კაჭუჟმაძე. ტელეფონი № 13—98. დაწვრილებით ცნობას ვაძლევთ ფოსტით.
(1105—3—2)